გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№23 (918) 12 - 13 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გიორგი ბადაშვილი

„თითოეულ დანაშაულს ინდივიდუალურად განვიხილავთ. სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკის მომხმარებლებს ერთნაირად არ დავსჯით. ნარკორეალიზატორები კი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან!“

გვ. 8

ვინ მართავს გორს

ვინ არიან „ჟანგიანი“ „კუღა“ „კოხტა“ „კარაქა“

გორელები თავდაცვის ექსმინისტრს გაუნაწყენდნენ

გვ. 3

ეკა ბესელია ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრის შესახებ პირველ და უკანასკნელ კომენტარს აკეთებს

გოგი თოფაძის დეჟა-ვუ

რატომ მოითხოვს „ყაზბეგის“ მეპატრონე უცხოური ღუღის იმპორტის აკრძალვას

გვ. 4

„მოვითხოვთ, გაუქმდეს წურბელა სითი-პარკი“

მოქალაქეები „მტაცებელი ევაკუატორშჩიკების“ წინააღმდეგ

რა ეშველება თბილისის დანგრეულ გზებს

გვ. 5

ექსკლუზიური ინტერვიუ „ლაგუნა ვერეს“ მფლობელი კომპანიის დირექტორთან

რატომ იხურება „ლაგუნა ვერე“ კაპიტალური რემონტისთვის და რა სამუშაოებია შესასრულებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად

„თუ პანჩურს ამოგვარტყამენ, ივანიშვილთან მივალთ ან 400 შებლონგზე დავწვებით და გზებს გადავკეტავთ, აბა, რა ვქნათ?“

„თავისუფლების ქარტიის“ კანონით გათვალისწინებული კომისიის შემადგენლობა დამტკიცდა

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობა ძირითადად შსს-ს თანამშრომლებისგან და პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტდა.

ამ ეტაპზე, მხოლოდ კომისიაში შემავალი შსს-ს თანამშრომელთა ვინაობაა ცნობილი. კომისიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსი სულხან გოცაძე უხელმძღვანელებს. შემადგენლობაში ძალოვანი უწყების რამდენიმე სააგენტოსა და ცენტრის მაღალი თანამდებობის პირები, ასევე შსს-ს აკადემიის არქივის დირექტორი, ამავე არქივის მე-2 განყოფილების (პარტიული არქივის) უფროსი შედიან.

კომისიის შემადგენლობაში ასევე არიან პარლამენტის ფრაქციების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმოდგენილი წევრები, რომლებიც სარგებლობენ ხმის უფლებით და, იმავდროულად, ითვლებიან კომისიის წევრებად.

დებულების თანახმად, კომისია საჯაროდ აცხადებს მხოლოდ იმ პირთა ვინაობას და მათ შესახებ მონაცემებს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან, უკავიათ „თავისუფლების ქარტია“ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული თანამდებობა და ნებაყოფლობით, ამავე კანონით დადგენილ ვადაში არ განაცხადებენ უარს ამ თანამდებობაზე. კომისია იკრიბება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, კომისია ასევე უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფი ან ჯგუფები.

„პირველი“

რეგიონებში, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა, ყოველი მესამე შვილის მშობელი ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, დემოგრაფიულ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია იქმნება. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კომისიის შემადგენლობაში ჯანდაცვის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, ასევე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და მოწვეული ექსპერტები შევლენ. კომისიამ დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა უნდა შეიმუშაოს. ამასთან, იგი ითანამშრომლებს დემოგრაფიული განვითარების ფონდთან და ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ექსპერტთან.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, იმ რეგიონებში, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა და არ არის ბუნებრივი მატება, ყოველი მესამე, 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში 200, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით განისაზღვრება. პირველ ეტაპზე, ეს გადაწყვეტილება 6 რეგიონს შეეხება. პრემიერის ინიციატივა პირველი ივნისიდან ამოქმედდება.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1963 წელს დაბადებული მალხაზ ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 51,5 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 14,0 გრ ჰეროინს შეიცავს. ასევე ამოღებულია კანაფის ფისის შემცველი 1,68 გრ ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები თურქეთის რესპუბლიკაში 2200 თურქულ ლირად შეიძინა და საქართველოში შემოიტანა. ნარკოლოგიური შემოწმებით მალხაზ ბ-ს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

თეა წულუკიანი გადადგომას არ აპირებს

„გადადგომას არ ვაპირებ“, — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მისი თქმით, როცა გადადგომას დააპირებს, პრემიერის შემდეგ ამას პირველად ჟურნალისტები გაიგებენ: **„გადადგომას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩემი როლი ერთ-ერთი მოკრძალებული როლია იმ მთავრობის საქმიანობის ფარგლებში, რომელსაც ბევრი საქმე აქვს წამოწყებული. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი რგოლი თუ ჭანჭიკი ვარ, რომელიც, ევროკავშირთან დაახლოებით კუთხითაც, საქართველოს მთავრობის სხვა წევრების მსგავსად, კარგ საქმეს აკეთებს, ამიტომ გადადგომას არ ვაპირებ“.**

გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთში დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესის წაგების გამო, შესაძლოა, თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვოს.

„ინტერპრესნიუსი“

სამეურვეო საბჭოს წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებები პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე 26 მარტის ჩათვლით უნდა წარადგინონ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იმედოვნებს, რომ ამჯერად, ყველა გაითვალისწინებს კონკურსის პირველ ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირება წარმატებით დასრულდება: **„წინა კონკურსის ბოლოს გაჩენილ ზოგიერთ უსაფუძვლო კითხვასა და ეჭვზე მკაფიო და ცალსახა პასუხის გაცემის მიზნით, გადავწყვიტე, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარვუდგინო საკონკურსო კომისია იმავე 9 წევრის შემადგენლობით, რომლებმაც წინა კონკურსის დროს შეარჩიეს და პარლამენტს წარუდგინეს მეურვეობის კანდიდატები. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მქონდა კონსულტაციები აჭარის უმაღლეს საბჭოსთან, სახალხო დამცველთან, საპარლამენტო უმცირესობასთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან, რომლებმაც სრულად გაიზიარეს აღნიშნული პოზიცია. სასიამოვნოა, რომ წინა საკონკურსო კომისიის ცხრავე წევრი ასევე გაგებით შეხვდა ჩვენს მოსაზრებებსა და არგუმენტებს და მიუხედავად ამ საკითხზე ადრე გამოთქმული შეხედულებებისა, მათ თანხმობა განაცხადეს პარლამენტის მიერ ხელახლა შესაქმნელი საკონკურსო კომისიის წევრობაზე. დარწმუნებული ვარ, ამჯერად ყველა გავითვალისწინებთ კონკურსის პირველ ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას და წარმატებით დავასრულებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირებას“.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შესარჩევად 2 თვის წინ ჩატარებული კონკურსის შედეგად პარლამენტმა შეძლო მხოლოდ 4 წევრის არჩევა 9 ვაკანტურ თანამდებობაზე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად, კონკურსი სამეურვეო საბჭოს დარჩენილი 5 წევრის შესარჩევად გამოცხადდა.

„პირველი“

თბილისის მასშტაბით „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟი იწყება

დედაქალაქის საკრებულოში განმარტავენ, რომ ე.წ. ხრუშჩოვკების დემონტაჟი მთელი თბილისის მასშტაბით იგეგმება. საკრებულოსა და გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთ საინვესტიციო ჰოლდინგს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. დოკუმენტი „ხრუშჩოვკების“ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას გულისხმობს. მემორანდუმი ძველი თბილისის რეაბილიტაციის მიმართულებასაც ითვალისწინებს.

მემორანდუმს საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა და საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო ჰოლდინგის დამფუძნებელმა სალიმ უმაიდ საიფმა მოაწერეს ხელი. პროექტი დაწყებამდე ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს.

„მემორანდუმის საფუძველზე ორივე მხარე ვიღებთ მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, რომ ცენტრალური ხელისუფლების ფინანსთა სამინისტრო მხარს დაუჭერს ამ პროექტს და შესაბამისად, შემდგომში ხელს მოვაწერთ იმ მუშა დოკუმენტს, სადაც იქნება პროექტის სრული აღწერილობა. ჩვენი სურვილია ეს მოქმედებები ზაფხულის შუა პერიოდისთვის უკვე დაიწყოს“, — განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

სალიმ უმაიდ საიფის თქმით კი, პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში მისი განხორციელება ოთხ თვეში დაიწყება: **„ჩვენ ძველი შენობების დემონტაჟს ვაპირებთ. მალე დავასრულებთ შეთანხმებაზე მუშაობას. სამუშაოები დაახლოებით ოთხ თვეში დაიწყება. დარწმუნებული ვარ, ეს სასარგებლო საქმე იქნება თქვენთვის“.**

„ინტერპრესნიუსი“

კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში დაბრუნდა

ილია მეორე სტამბოლში მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა კრებაზე იმყოფებოდა.

პატრიარქმა კრებისადმი მიმართვისას რამდენიმე საკითხი დააყენა. პირველ რიგში ილია მეორემ საქართველოს ეკლესიისთვის კუთვნილი ადგილის დაბრუნება მოითხოვა. პატრიარქმა ასევე, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა.

„პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი — ესაა ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. მან თქვა, რომ ცხინვალის ეპარქია ისევე, როგორც აფხაზეთის ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია და რომ არცერთი ეკლესიის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, ჩავიდეს აფხაზეთში, ან ცხინვალის რეგიონის ეპარქიებში, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე“, — განაცხადა თბილისის სასულიერო აკადემიის სემინარიის რექტორმა გიორგი ზვიადაძემ.

„პირველი“

გორის მაჟორიტარი ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დასახელებული კლანის წევრებს შიფრავს

რუსუდან შელია
557-100-768

ირაკლი ოქრუაშვილი, უკვე მეოთხედ, პოლიტიკაში დაბრუნებას სკანდალური განცხადებების ფონზე ცდილობს, თუმცა ამჯერად, ჩამოქვეითებული პოზიციით — „ჩემთვის გორის არჩევნები მესამე ლიგის თამაშია და ერთგვარი თავისატკიება“, — აცხადებს იგი. მეოთხე სვლაზე, თავდაცვის ყოფილ მინისტრს მისიაც განსხვავებული აქვს — არჩევნებში გორის მერად კენჭისყრას ქალაქში გაჩენილი ნიჰილიზმის გასაქრობად და კლანური მმართველობის დასამარცხებლად აპირებს. მისი მტკიცებით, გორი „ერთ დიდ ზონას“ დაემსგავსა და მას „ქალაქის მამები“: „კარაქა“, „ჟანგიანი“, „კულა“ და „კოხტა“ მართავენ: „2003 წლამდე გორი კლანების მეშვეობით იმართებოდა. 2004 წელს ეს კლანები მთლიანად დავშალე, თუმცა სააკაშვილმა, ჩემთან დაპირისპირების შემდეგ, ისინი დააბრუნა და დაეყრდნო. ეს ადამიანები დღესაც იგივე ადგილზე სხედან და გორში ყველაფერს ხრავენ“.
„ვერსია“ დაინტერესდა, ვინ არიან ირაკლი ოქრუაშვილის მიერ „მხილებული“ კლანის წევრები, რეალურად, მართავენ თუ არა ისინი გორის რაიონს და როგორ შეხვდნენ გორელები თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაპირებას, ქალაქის ცენტრში სტალინის ძეგლის ათ დღეში აღდგენასთან დაკავშირებით. კითხვებზე პასუხების მისაღებად გორის მაჟორიტარ დეპუტატს, სოსო ვახტანგაშვილს დავუკავშირდით.

ვინ არიან „ჟანგიანი“, „კულა“, „კოხტა“, ირაკლი აღასანიას პარტიის წევრი „კარაქა“ და რა გავლენა აქვთ რაიონში

— ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჩამოთვლილი ყველა პირი, „კარაქას“ გარდა, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში, გორის რაიონში გარკვეულ გავლენას მართლაც ფლობდა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, თითოეული მათგანი სახელისუფლო ვერტიკალს ჩამოშორდა, შესაბამისად, რაიონზე გავლენაც დაკარგეს.

— ვინ არის „კარაქა“ ან სხვებისგან რატომ გამოყავით, მას გავლენა შეუნარჩუნდა?

> **— „კარაქა“, იგივე დათო წეწვაძე ირაკლი ალასანიას პარტიის წევრია. იგი თანამდებობის პირი არაა და აბსურდია იმაზე საუბარი, რომ გორში გავლენას ფლობს. მსგავსი განცხადება გორელებსაც სასაცილოდ არ ჰყოფნით.**

— „კარაქა“ მაფიოზურად კი ჟღერს... გორში პარტიის რიგით წევრს ასეთი მეტსახელით რატომ იცნობენ?

— არ ვიცი, ჩემი ინფორმაციით, ეს ზედმეტსახელი ბავშვობიდან აქვს და მაფიოზობასთან არანაირ კავშირში არ არის.

— „კოხტა“, „ჟანგიანი“ და „კულა“ — ესეც ბავშვობის ზედმეტსახელებია? დააკონკრეტეთ, ვინ არიან ეს ადამიანები?

> **— ძმები არიან, მათი სახელები არ ვიცი. ჩემთვის ყოველთვის უმნიშვნელო ფიგურები იყვნენ, გვარი კი გოგლიძეა. ერთ-ერთი ძმა გუბერნატორის მოადგილე იყო, ასევე ნატურალური წვენების კომპანია „კულას“ ფლობდა, „კოხტა“ კი სპორტკომიტეტში მუშაობდა. როგორც გითხარით, ყველა სამსახურიდან გათავისუფლებულია და გორმაც კლანური მმართველობა დაივიწყა. „ქართულ ოცნებას“ კლანური მმართველობა არ სჭირდება, ირაკლი ოქრუაშვილმა კი მორიგი პიარსვლა შემოგვთავაზა, რომელიც, გორელების ნაცვლად, სხვა მაყურებელზე იყო გათვლილი.**

— გასაგებია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი გორის არჩევნებში მონაწილეობით „მესამე ლიგის თამაშს“ თამაშობს და დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას ამ მეთოდით ცდილობს, მაგრამ, როგორც თავად ამტკიცებს, გორელებს საუკეთესო კანდიდატად მიაჩნიათ...

— უხერხულია, როცა ადამიანი საკუთარ თავზე ასე საუბრობს, თანაც მე სხვა ინფორმაცია მაქვს: ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელიც გორში გამოკითხვებს ირაკლი ოქრუაშვილის დაკვეთით ატარებდა, ერთ ჩემ ახლობელს ეუბნებოდა — ყველა გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე მაღალი რეიტინგი ქალაქის ამჟამინდელ გამგებელ პაპუნა კობერიძეს აქვსო. რა თქმა უნდა, ირაკლი ოქრუაშვილი მის მიერ დაკვეთილ კვლევაში თავს ლიდერად დაასახელებდა, მაგრამ ჩვენ როგორც კონკურენტსა და წონიან პოლიტიკოსს ვერ აღვიქვამთ. გორის არჩევნებში ოქრუაშვილმა მაქსიმუმ 4%-იანი ბარიერი გადალახოს. ისიც გაუჭირდება!

— ანუ, **ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება, გორში ნებისმიერ ფასად გავიმარჯვებო, თქვენთვის გამაფრთხილებელი სიგნალი არ არის?**

— როგორც წესი, ირაკლი ოქრუაშვილს ბუნდოვანი განცხადებების კეთება სჩვევია, ამიტომ ვითხოვ, დააკონკრეტოს, რას ნიშნავს ეს სიტყვები, რადგან იგივე მისი პარტიის წევრებმაც გაიმეორეს. მიპასუხოს, რა იგულისხმება „ნებისმიერ ფასში“ და რის გადახდას აპირებს? მის ბუნდოვან განცხადებებზე მარჩიელობას ვერ დავიწყებთ.

— წინასაარჩევნოდ თავდაცვის ყოფილი მინისტრისგან პროვოკაციებსაც ელით?

— ირაკლი ოქრუაშვილის ქმედებების პროგნოზირება რთულია, რადგან მისი განვლილი ცხოვრება სურპრიზებითაა სავსე. თუ ვინმე ფიქრობს, დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი და გახსნილობა ჩვენი სისუსტეა, მწარედ შემცდარა. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც კანონს გადაუხვევს და პროვოკაციულ ნაბიჯებს გადადგამს, პასუხს სწორედ კანონის წინაშე აგებს. ისე, ინგა გრიგოლიასთან ერთი კითხვა მაქვს — რატომ არაფერი ჰკითხა ირაკლი ოქრუაშვილს მიხეილ ქარელთან დაკავშირებით, რომელიც ყოფილ მეგობარს საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებს. წინასწარ შეთანხმებულები ხომ არ იყვნენ?! თანაც, როცა ოქრუაშვილმა განაცხადა, გორის არჩევნებში მონაწილეობით მესამე ლიგაში ვთამაშობო, გორელები ძალიან განაწყენდნენ — ჩვენ მესამე კატეგორიის ამომრჩევლები ვართო?!

— სამაგიეროდ, გორელებს დაპირებები უხვად დაურიგა — პენსიაზე 50-ლარიან დანამატს, ვაშლზე 3-თეთრიან სუბსიდიასა და არჩევიდან ათ დღეში გორის ცენტრში სტალინის ძეგლის დაბრუნებას შეპირდა...

— ყველა დაპირება სიცრუეა! გორი თვითმმართველ ქალაქად ჩამოყალიბდა და შესაძლოა, რაიონი ხუთ მუნიციპალიტეტად გაიყოს. შესაბამისად, წარმოუდგენელია, თვითმმართველი ქალაქის არჩეულმა მერმა ვაშლის მოსავალი დააფინანსოს — ეს კანონით ეკრძალება, მოვალეობებში არ შედის. ეს იგივეა, თბილისის მერმა თქვას, კახეთში ყურძნის მოსავალზე გლეხებს 10 თეთრს დავუმატებო. ტყუილია ისიც, რომ პენსიონერებს 50 ლარს დამატებით მისცემს. გორის რაიონში 30 ათასი პენსიონერია, ბიუჯეტი კი 18 მილიონ ლარს შეადგენს, ყველა პენსიონერს 50 ლარი რომ დაუმატოს, გამოდის, 15 მილიონი მხოლოდ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს, დარჩენილი თანხით კი რაიონში ყველა პროექტი გაჩერდება. შესაბამისად, ირაკლი ოქრუაშვილმა მორიგი სისულელე შემოგვთავაზა.

რაც შეეხება სტალინის ძეგლს, ბუნებრივია, თავისუფლების ქარტია, რომელიც პარლამენტმა მიიღო, უნდა დავიცვათ, მაგრამ გორელების დამოკიდებულება სტალინის ფენომენისადმი უნდა გავითვალისწინოთ. ჩემი აზრით, ქალაქის ცენტრიდან აღებული სტალინის ძეგლი მუზეუმის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს. მუზეუმი კულტურის სამინისტროს ბალანსზეა და ამ მიმართულებით გარკვეული მოლაპარაკებებიც დაიწყო.

— ქალაქის ცენტრში ძეგლი არ დაბრუნდება?

— წინააღმდეგნი ვართ, ძეგლი იმავე ადგილას დაბრუნდეს, მაგრამ, როგორც დიდი ინტერესისა და თვითმმართველი ქალაქისთვის შემოსავლიანი ობიექტი, ძეგლი სახლ-მუზეუმში ექსპონატის სახით უნდა განთავსდეს, ეს ჩემი პოზიციაა... ამ ეტაპზე სტალინის ძეგლის რესტავრაცია მიმდინარეობს, რადგან მოხსნისას საკმაოდ დაზიანდა. სამუშაოები სავარაუდოდ, ზაფხულისთვის დასრულდება და შემდეგ, შესაბამის ნებართვას დაველოდებით. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის დაპირებას, თითქოს გამარჯვების შემთხვევაში ძეგლს ათ დღეში ძველ ადგილას დააბრუნებს, ტყუილია! ძეგლის არსებული მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას, მერის არჩევნებიდან ათ დღეში იმავე ადგილზე დამონტაჟდეს. ეს ყველაფერი გორელებმა კარგად იციან, ამიტომ ირაკლი ოქრუაშვილი მათთვის ავტორიტეტი არ არის.

ოქრუაშვილთან პოლიტპატიმრების სიაზე საუბრისას ვისკენ გაიშვირა ხელი ბესელიამ

გორის „მამებზე“ საუბრის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა არც ყოფილი თანაპარტიელი, ამჟამად პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია დაივიწყა. როგორც ჩანს, ოდესღაც გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას, პოლიტპატიმრების სიიდან ამოღების საკითხი ჯერ კიდევ აწუხებს. მეტიც, დღემდე იმის გარკვევას ცდილობს, ვინ დაბლოკა, როცა პოლიტპატიმრად აღიარებამდე ერთი ნაბიჯი აკლდა: **„პოლიტპატიმრების სიიდან ამომიღეს... მიუხედავად იმისა, რომ ამას ეკა ბესელია ხელმძღვანელობდა, მჯერა, ეს მისი ინიციატივა არ იყო. როდესაც ეკას მიზეზი ვკითხე, ხელი სხვისკენ გაიშვირა. ვიცი, არსებობდა რაღაც ჯგუფი, რომელმაც პოლიტპატიმართა სიაში დამბლოკა“.**

საინტერესოა, ვისკენ გაიშვირა ხელი ეკა ბესელიამ ირაკლი ოქრუაშვილთან პოლიტპატიმრების სიიდან მისი გვარის ამოღების თაობაზე საუბრისას? **ეკა ბესელია**, თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ამ თემაზე საუბარს საერთოდ უარყოფს და აცხადებს, რომ ოქრუაშვილი არავის დაუბლოკავს, უბრალოდ, პოლიტპატიმრის სიიდან თავდაცვის ყოფილი მინისტრის ამოღება წმინდა სამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე გადაწყდა.

> **— ირაკლი ოქრუაშვილთან პოლიტპატიმრების სიიდან მისი ამოღების შესახებ საუბარი საერთოდ არ მქონია. ამ თემაზე კი კომენტარს ბოლოჯერ ვაკეთებ: არავინ დავობს, არც კომიტეტი და არც სიაზე მომუშავე ჯგუფი, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ წინა ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური დევნა განხორციელდა, თუმცა, ამ მხრივ, სამართლებრივი წინააღმდეგობა გაჩნდა სტატუსის შეცვლის შემდეგ, როცა ოქრუაშვილი, როგორც ქვეყნიდან დევნილი პირი, საქართველოში დაბრუნდა და დააკავეს. ასე რომ, ამ მიმართულებით წმინდა იურიდიული დებატები გაჩნდა და არავის უთქვამს, რომ იგი პოლიტიკური დევნილი არ იყო. ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკურ დევნილად საფრანგეთის მთავრობამ სცნო, მაგრამ ჩამოსვლის შემდეგ დააკავეს და სასამართლო პროცესიც ჩატარდა, ამიტომ ამ მიმართულებით დავა მხოლოდ და მხოლოდ იურისტებში გაჩნდა.**

— თუ ოქრუაშვილი ტყუის, რატომ არ უჩივლებთ? ისიც ტყუილია, თითქოს „რაღაც“ პოლიტიკური ჯგუფი მას ბლოკავდა? თავდაცვის ყოფილი მინისტრი იმასაც ამბობს, როდესაც ბესელიას სიიდან ჩემი ამოღების მიზეზი ვკითხე, ხელი სხვისკენ გაიშვირაო.

— რატომ საუბრობს ასე, მას ჰკითხეთ. დავასრულე ამ თემაზე საუბარი. არ ვპასუხობ მსგავს შეკითხვებს.

— მაშინ ამ კითხვაზე მიპასუხეთ — საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვით პირი, რომელსაც ბოლო ორი წელი საქართველოში არ უცხოვრია, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თვითმმართველობის არჩევნებში ირაკლი ოქრუაშვილის დასაბლოკად განხორციელდა?

— ასეთი მიდგომა არსებობს სხვა ტიპის არჩევნებში. ნახეთ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

— ეს ნორმა ერთი თვის წინ ხომ არ არსებობდა?

— ეს ნოვაცია არ არის. დავამთავრე საუბარი.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბარაკ ობამასგან წერილი მიიღო

აშშ-ს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს წერილი ჰააგის ბირთვული უსაფრთხოების სამიტთან დაკავშირებით გამოუგზავნა. წერილში აშშ-ს პრეზიდენტი ხაზს უსვამს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან წარმატებულ თანამშრომლობას და იმედს გამოთქვამს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჰააგაში, ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტის ფარგლებში შეხვდება.

„მოუთმენლად ველი ამ სამიტსა და ჩვენი მასპინძლების მიერ შემუშავებულ ინტერაქტიულ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ვიმედოვნებ, შეგხვდებით ამ სამიტის ფარგლებში. 2010 წელს ვაშინგტონსა და 2012 წელს სეულში გამართული ისტორიული მნიშვნელობის შეხვედრების შემდეგ ჩვენ გადავდგით იმედისმომცემი ნაბიჯები მთელ მსოფლიოში ბირთვული მასალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ინდივიდუალური და ერთობლივი შესაძლებლობების განსამტკიცებლად. ამასთან, თითქმის ყოველდღიურად გვახსენებენ, რომ ტერორიზმის საშიშროება რეალურია და ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა თავიდან ავიცილოთ ბირთვული ტერორიზმის გლობალური კატასტროფა. ჩვენი თანამშრომლობის შედეგად, 2014 წლის სამიტი წარმატებული იქნება და უკეთ დავიცავთ ადამიანებს მთელს მსოფლიოში ბირთვული ტერორიზმისგან“, — წერს ბარაკ ობამა.

ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტი ჰააგაში 23-25 მარტს გაიმართება. სამიტზე მიწვეული არიან 53 სახელმწიფოს პირველი პირები და მთავრობის მეთაურები, ასევე ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბირთვული უსაფრთხოების სამიტს 5 ათასზე მეტი დელეგატი ჰყავს. მათ შორის, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ასევე ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის პრეზიდენტი მანუელ ბაროზო. სამიტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ბირთვული უსაფრთხოების გლობალური ფორუმის იდეა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას ეკუთვნის. პირველი ამგვარი სამიტი 2010 წლის 12-13 აპრილს ვაშინგტონში გაიმართა, მეორე კი 2012 წელს, სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში.

„პირველი“

შსს-მ ძებნილი დააკავა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო ღონისძიების შედეგად, ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ 2010 წლის 10 თებერვლიდან ძებნილი, 1986 წელს დაბადებული ლაშა ვ. დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში დააკავეს.

ლაშა ვ-მ 2009 წლის 7 მაისს მოქალაქეს სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, რისთვისაც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 4 თებერვალს ხულიგნობის (საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლი), ცივი იარაღის ტარების (238-ე პრიმა მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების (117-ე მუხლი) ფაქტებზე 7 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა.

აღნიშნული დანაშაული ლაშა ვ-მ პირობითი მსჯავრის ქვეშ ჩაიდინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ლაშა ვ-ს 2006 წლის 27 თებერვალს ჩადენილი ქურდობისთვის პირობითი მსჯავრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წლის 14 დეკემბერს მიუსაჯა.

დაკავებული გადაყვანილია სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში.

„ვერსიანიუსი“

გოგი თოფაძის დეჟა-ვუ

რატომ მოითხოვს „ყაზბეგის“ მეპატრონე უცხოური ღუდის იმპორტის აკრძალვას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

იმ დროს, როცა ჯერ კიდევ „ბნელი და უკუნი“ იყო, ხოლო ქვეყანას რუსეთიდან ახლადდაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე მართავდა, ახლად გაპოლიტიკოსებული ბიზნესმენის, „მრეწველი“ გოგი თოფაძის ინიციატივით, იმპორტი ისე შეიზღუდა, საქართველოში ჰოლანდიური ლუდი „ჰეინეკენი“ გაქრა. მართალია, ამან ლუდის მოყვარულები აღაშფოთა, მაგრამ თოფაძის ინიციატივას „ვაჰ, დრონი, დრონი“ მაინც არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ლუდი „ყაზბეგის“ წარმოება აღორძინდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, „მრეწველების“ ლიდერმა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადახდა გადაიფიქრა. თოფაძის დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, დაახლოებით, 3 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი იყო ლარში, რის გამოც ედუარდ შევარდნაძე ისე გამწარდა, პარლამენტის ტრიბუნიდან „მრეწველების“ ლიდერს მიმართა: „გოგი, დაყაჭე ფული!“ სხვათა შორის, ზუსტად გოგი თოფაძისა და მისი კოლეგა ქართველი ბიზნესმენების „დამსახურებით“, ქართულ ეკონომიკურ ლექსიკაში ისეთი ბიზნესგანსაზღვრება დამკვიდრდა, როგორიცაა „ურჩი გადამხდელი“...

ამგვარი შესავალი და რევოლუციამდელი ამბების გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში ცვლილება მზადდება, რომლითაც მსხვილი იმპორტიორებისთვის საქონლის იმპორტის დღგ-ით დაბეგვრისას გათვალისწინებული შეღავათიანი პირობები გაუქმდება. საუბარია კანონის იმ მუხლზე, რომელიც დაბეგვრის შეღავათიან პირობებს გულისხმობს მხოლოდ მათთვის, ვის მიერ წინა წლის ბიუჯეტში გადახდილი დღგ 200 000 ლარს აჭარბებს. ცვლილების ინიციატორების განმარტებით, ეს მუხლი არაკონკურენტულ გარემოს ქმნის იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ამ ოდენობის ბრუნვა არ გააჩნიათ. მათივე თქმით, ძველი რეგულაციის გამო, ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებით, იმპორტიორი შედარებით უკეთეს პირობებში იყო, რაც ამ ცვლილების საფუძველი გახდა.

ახალი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, დაბეგვრის შეღავათიანი პირობებით ადგილობრივი მწარმოებლები ისარგებლებენ. საუბარია სამრეწველო ნედლეულის დღგ-ს 18%-იანი გადასახადისგან გათავისუფლებაზე, რაც ქართველ მწარმოებლებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, სამაგიეროდ, დაბეგვრის ამგვარ რეჟიმში უკვე იმპორტიორებს აქცევს, რაც სრულიად გაუმართლებელია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ასოცირების ხელშეკრულება უკვე პარაფირებულია და ქვეყანა ამ ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად ემზადება, ასეთი ცვლილებები კი ამ პროცესს აფერხებს. მართალია, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა ევროკავშირის უმთავრესი მოთხოვნაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ხელისუფლებამ იმპორტს ხელოვნური ბარიერები შეუქმნას. იმპორტისა და ექსპორტის თანაბარ პირობებში მოქცევა სახელმწიფოს მიერ მათთვის თამაშის ერთნაირი წესების დამკვიდრებას ნიშნავს, სხვა შემთხვევაში, იმპორტის შეზღუდვით ადგილობრივი წარმოების წახალისება პროტექციონიზმია, რასაც პოზიტიური შედეგი ნამდვილად არ მოჰყვება.

ახალ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, „ვერსიას“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ თავმჯდომარე **გოგი თოფაძე** ესაუბრება.

— ამ ცვლილებების გატარება აუცილებელია, რადგან ადგილობრივი მწარმოებელი და იმპორტიორი თანაბარ პირობებში არ არიან; მაგალითად ალკოჰოლური ან უალკოჰოლო სასმელის მწარმოებლებს მინის ტარა სჭირდებათ, მაგრამ იმისთვის, რომ ადგილობრივმა მეწარმემ ბოთლი ქსნის ქარხანაში იყიდოს, დღგ-ს 18% უნდა გადაიხადოს, სამაგიეროდ, თუ მინის ტარას თურქეთში ან ბულგარეთში შეიძენს, ეს 18%-იანი გადასახადი, 9-10 თვის მანძილზე გაიწელება. ასეთი დაბეგვრის რეჟიმში არიან იმპორტიორები, რაც უდიდეს შეღავათს აძლევს და ამით ადგილობრივ მწარმოებელს ჩაგრავს.

— ბატონო გოგი, ეს ცვლილება ხომ ისეთ იმპორტირებულ პროდუქციას გააძვირებს, რასაც საქართველოში არ ვაწარმოებთ, გარდა ამისა, ადგილობრივი წარმოებაც არ არის ისე ძლიერი, ბაზრის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილოს. ამ ფონზე, ბაზარზე დეფიციტი არ შეიქმნება?

— არა, გამორიცხულია, რადგან საუბარია სამრეწველო ნედლეულზე. ეს ცვლილება ავტომობილების იმპორტს არ ეხება და კარგად უნდა დაიმახსოვროთ. ჩვენ მხოლოდ საწარმოო ნედლეულს ვგულისხმობთ, მაგალითად, მინის ტარას, ალაოს, რაც ლუდის წარმოებისთვის აუცილებელია... აქედან გამომდინარე, ჩვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად სამართლიანია, რადგან თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ასევე იმპორტიორები. სხვათა შორის, ამ ცვლილებას კანონების მთელი კასკადი მოჰყვება, რაც ქართველ მეწარმეებს ხელ-ფეხს გაუხსნის, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ არ მინდა. იმპორტიორებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ რამის შემოტანა უნდათ საქართველოში, შემოტანის ნაცვლად, უმჯობესია, აქ ააშენონ ქარხანა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებენ.

— ეს ცვლილება ლუდის მაგალითზე განვიხილოთ. როგორ გგონიათ, იმპორტირებული ლუდი არ გაძვირდება?

— ვიდრე გიპასუხებთ, გეტყვით, რომ ყველაზე მეტად ჩემი კომპანია დაიჩაგრა, რადგან მართალია, ალაოს უცხოეთში ვყიდულობდით, რაც გარკვეულ შეღავათს გვაძლევდა, მაგრამ საქართველოში ალაოს მწარმოებელი არც ერთი ქარხანა აღარ დარჩა. როდესაც ეს პირობები გათანაბრდება, გამოჩნდება რომელიმე მეწარმე, რომელიც მაგალითად, რუსთავში, ან რომელიმე სხვა ქალაქში ალაოს ქარხანას ისევ ააშენებს. რაც შეეხება კითხვას, არც პროდუქცია გაძვირდება და არც მისი ხარისხი გაფუჭდება, რადგან თუ გვინდა, რომ ქართული ეკონომიკა განვითარდეს, სწორედ ასეთი კანონები უნდა მივიღოთ. სულ მალე მივიღებთ კანონს, რომლითაც გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირება სავალდებულო გახდება. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რას ან რატომ ყიდულობს, ავნებს თუ არა ის პროდუქტი მას და ამას ყველა იმპორტიორი უნდა შეეგუოს! ისე აღარ იქნება, როგორც გასულ წლებში იყო, როდესაც რაც კი ნაგავი იყო უცხოეთში, ყველაფერი საქართველოში შემოჰქონდათ.

— ამ ცვლილების გამო, ადგილობრივი ბაზრიდან უცხოური ლუდი არ გაქრება?

— რატომ, კაცო? ვისაც უნდა, შემოიტანოს მაგალითად, ლუდი „ჰეინეკენი“ ან სხვა, რომელიმე უცხოური ლუდი, მაგრამ ჩვენც ადგილობრივი პროდუქცია ვაწარმოოთ. ხომ გითხარით, ეს ცვლილება მზა პროდუქციაზე არ მოქმედებს, მაგრამ ბევრს არ ესმის, ფიქრობენ, ეს კანონი ყველაფერს ეხება, სინამდვილეში კი, მხოლოდ სამრეწველო ნედლეულზეა საუბარი.

ვერსიანიუსი

ნარკოტიკული ნივთიერების საქართველოში შემომტანი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნიკოლოზ გ. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და საქართველოში შემოტანის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნიკოლოზ გ. იმ დროს დააკავეს, როცა ეგვიპტიდან საქართველოში ჩამოფრინდა. მისი პირადი ჩხრეკისას სხვადასხვა ნარკოტიკი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 22 აბი ,,ტრამადოლი“, 2,52 გრ კანაფის ფისი და 1,79 გრ ოპიუმი.

ნარკოლოგიური შემოწმებით ბრალდებულს ოპიუმის, მარიხუანასა და ,,ტრამადოლის“ მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდებით მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1 ნაწილით და 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ექსკლუზიური ინტერვიუ „ლაგუნა ვერეს“ მფლობელი კომპანიის დირექტორთან

რაფომ იხურება „ლაგუნა ვერე“ კაპიტალური რემონტისთვის და რა სამუშაოებია შესასრულებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად

„თუ პანჩურს ამოგვარტყამენ, ივანიშვილთან მივალთ ან 400 შეზლონგზე დავწვებით და გზებს გადავკეტავთ, აბა, რა ვქნათ?“

„ლაგუნა ვერე“ თბილისელებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი გამაჯანსაღებელი კომპლექსია, რომლის მსგავსიც კავკასიაში არ არის. ერთ დროს, აქ წყალბურთელთა შეჯიბრებები, ევროპის ჩემპიონატები ტარდებოდა, იყო დრო, გრანდიოზული და პრესტიჟული კონცერტებიც იმართებოდა სინქრონული ცურვის თანხლებით, დღეს კი, გავრცელებული ინფორმაციით, ობიექტს დახურვა ემუქრება.

ოფიციალური ვერსიით, „ლაგუნა ვერე“ იმის გამო იხურება, რომ გაზრდილი გადასახადები მას არარენტაბელურს ხდის და ობიექტი წამგებიანი გახდა, თუმცა კულუარებში სხვა ინფორმაცია ვრცელდება — ამბობენ, „ლაგუნა ვერე“ 2007 წელს მფლობელებს ინვესტორისთვის მიუყიდიათ, რომელიც ახლა სპორტული კომპლექსისთვის პროფილის შეცვლას აპირებსო. ამ ისტორიის ყველაზე უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ უმუშევარი რჩება ათეულობით ადამიანი, დაიხურება ცურვის შემსწავლელი ჯგუფები, თბილისელები კი ზაფხულის ხვატში ერთ-ერთი საყვარელი ადგილის გარეშე რჩებიან. „ვერსია“ ინფორმაციის გადასამოწმებლად „ლაგუნა ვერეს“ ეწვია. შეშფოთებული მომსახურე პერსონალი საჯარო საუბარს არ მოერიდა:

— ხელმძღვანელობა 20 იანვრიდან გვატყუებდა, 1 კვირაც და გაიხსნებაო, დღეს კი „ქართუ ჯგუფიდან“ ახალი დირექტორი, დავით ჩხეტიანი მოვიდა და გამოგვიცხადა, ხვალ შეგიძლიათ სამსახურში აღარ გამოხვიდეთო. თითქოს 2 თვით გვითხოვენ, მაგრამ ტყუილია — 110 კაცი ვრჩებით უმუშევარი, თანაც გაგვაფრთხილეს, არ გავაპროტესტოთ, რადგან კანონი ჩვენს მხარეს არ არის და თურმე, კონტრაქტი იანვარში შეგვიწყდა. შეკითხვაზე — თუ ასეა, მაშინ რატომ გვალოდინეთ, იქნებ ამ ხნის განმავლობაში სხვა სამუშაო გვეპოვაო, გვიპასუხეს ამ გაუგებრობისთვის ბოდიშს გიხდითო.

— ამბობენ, რომ ამ ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის გაკეთებას აპირებენ, ზოგი აცხადებს, საცხოვრებელი კომპლექსის გაშენება უნდათო...

— მსგავსი ინფორმაცია არ გვაქვს. ისე, აქ საცხოვრებელი უბანი ვერ გაშენდება იმიტომ, რომ ქვეშ მდინარე ვერე გადის. ისევ საცურაო კომპლექსი გაკეთდება, ტურბაზა ან რამე მსგავსი... თუ არა და, დაინგრევა და იქნება ცარიელი ადგილი. მთელი ქალაქი ფეხზე უნდა დადგეს, „ლაგუნა ვერე“ თბილისს ემსახურებოდა. ამათ არაფრის შიში არა აქვთ. თუ პანჩურს ამოგვარტყამენ, ბიძინა ივანიშვილთან მივალთ ან გადავკეტავთ გზებს, 400 შეზლონგი გვაქვს, გავშლით და ზედ დავწვებით, აბა, რა ვქნათ?

— დახურვის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ისიც, რომ ობიექტი წამგებიანია და ხარჯს ვერ ფარავს.

— რას ლაპარაკობთ, წამგებიანი კი არა, მომგებიანია, ჩვენ როგორ უნდა მოგვატყუონ, მარტო ზაფხულის სეზონის ორისამი თვე ქაჩავს მთელ წელიწადს, დახურულ დარბაზებზე აღარაფერს ვამბობთ. უბრალოდ, აქაურობის დაშლა უნდათ...

„ვერსია“ „ლაგუნა ვერეს“ ტექნიკურ დირექტორს, დავით ბედოიძესაც ესაუბრა:

— თქვენ ბრძანდებით „ლაგუნა ვერეს“ ახალი უფროსი?

— არა, მე გახლავართ ტექნიკური დირექტორი, ახალ უფროსთან გნებავთ საუბარი?

— რა თქმა უნდა, მასთანაც მინდა.

— თუ გამოგივიდათ, კი.

— რატომ, რთულია ამ ადამიანის პოვნა?

— გააჩნია, როგორ მოინდომებთ...

— ბატონო დავით, მომსახურე პერსონალი ძალიან უკმაყოფილოა.

— უკმაყოფილოები რითი არიან — რომ ვერ გავიხსენით?

— რომ ვერ გაიხსენით არა, იმიტომ რომ, დაიხურეთ.

— არ დავხურულვართ, უნდა გავხსნილიყავით 20 თებერვალს და ყინვამ შეგვიშალა ხელი, მთელი წყალგაყვანილობა გააფუჭა, ახლა ჩავატარეთ სამუშაოები და შეიძლება, ერთ კვირაში გავიხსნათ.

— აბა, დღეს რატომ გაათავისუფლეს სამსახურიდან 110 ადამიანი?

— გათავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალურ რემონტზე დავდგებით. მაშინ თავისთავად ხელმძღვანელობაც დროებით უმუშევარი დარჩება. 35 წელზე მეტია აქ თითი თითზე არავის დაუდია, ყველაფერი ძალიან ძველია, ერთს გააკეთებ, მეორე ფუჭდება. თუ იქნება საშუალება, რომ გავიხსნათ და თან, ეს სარემონტო სამუშაოები ჩატარდეს, მაშინ ობიექტი იმუშავებს, მაგრამ, თუ ჩატარდება კაპიტალური რემონტი, მოგვიწევს მისი გაჩერება. არის ორი ვარიანტი, თან იმუშაო და თან აკეთო, რასაც ახლა გვინდა მივაღწიოთ, ან დაიკეტება და ერთ წელიწადში გაიხსნება. ეს, ერთი მხრივ, კარგია იმიტომ, რომ ამხელა კონკურენციის ფონზე, ძველი აუზი აღარავის უნდა, თუმცა „ლაგუნა ვერე“ ბრენდია და ხალხი მაინც დადის, თანაც ამას ფასებიც ხელს უწყობს, ცუდია იმიტომ, რომ ამდენი ადამიანი უმუშევარი დარჩება.

— ეს ადამიანები ერთ წელიწადში თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან?

— შეიძლება, რემონტი 3 თვეშიც დასრულდეს, მაგრამ მერე სეზონი ჩაივლის და გახსნას აზრი აღარ ექნება... ამიტომ ვამბობ ერთ წელიწადს. ისე აქ სერიოზული რემონტი თუ ჩატარდა, გადახურვებითა და ტრიბუნებით, მაშინ, შესაძლოა, უფრო მეტი დროც დასჭირდეს. როცა გაიხსნება, რა თქმა უნდა, დაუბრუნდებიან ძველ ადგილებს, თუ ამ დროის განმავლობაში სხვაგან არ დაკავდებიან.

— ვინ იყო ის კაცი, დილით რომ მოვიდა და პერსონალი სამსახურიდან დაითხოვა?

— ჩვენ გვაქვს კიდევ 2 დღე, თუ ამ პერიოდში ტექნიკურმა ჯგუფმა გამოსავალი ნახა, ობიექტი გაიხსნება, თუ არა — დროებით დაიხურება.



— ოფიციალური განცხადებით, ობიექტი წამგებიანია, არადა, თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს ტყუილია და მოგებაც შემოდის.

— 12 წელია, ეს აუზი მხოლოდ თავს ინახავს, ზოგჯერ შეიძლება მიზერული მოგებაც მოიტანოს. ლაგუნას არ უნდა შეხედო, როგორც ბიზნესს, მთავარია, თავი შეინახოს. ეს ბიზნესი ამინდზეა დამოკიდებული, თუ ის 3 თვე მზიანია, ლაგუნა თავს შეინახავს, თუ არა, პატრონი უნდა გყავდეს, რომელიც ხარჯს დაფარავს. რატომ გავედით წაგებაზე? ტექნიკური მხრიდან მომიწია გამათბობლის ყიდვა, ხარჯი გამეზარდა.

— ფასი რატომ არ გაზარდეთ?

— ეს მისაღები იქნებოდა საზოგადოებისთვის? 12 წლის განმავლობაში დენისა და გაზის გაძვირების მიუხედავად, ფასი არ გაგვიზრდია, პირიქით, ქოლგა და შეზლონგებიც კი უფასოდ გვქონდა.

— როცა გარემონტდება და გაიხსნება, ძველ ფასებს დატოვებთ?

— ახალგარემონტებულში მორალური უფლება მექნება, ფასები 10-დან 15 ლარამდე გავზარდო იმიტომ, რომ ძალიან მაგარი იქნება, თუკი მართლა ახალი სახით გაიხსნა აქაურობა, ფასები მეორეხარისხოვანი იქნება. გადახურული ტრიბუნები 5 000 ადამიანს დაიტევს, ღია აუზთან გაკეთდება სცენა, ზაფხულში უკეთესი ადგილი გასართობად და კონცერტების ჩასატარებლად არ იქნება. გამოუყენებელ ტერიტორიაზე 7 000 კვადრატამდე საოფისე ფართები აშენდება. ამაზე საუბარი შარშანაც იყო, შარშანწინაც... მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი როდემდე უნდა გაგრძელდეს?

— ანუ „ლაგუნა ვერეს“ ადგილას სავაჭრო ცენტრის ან საცხოვრებელი სახლის აშენებას გამორიცხავთ?

— აქ იმხელა ტერიტორიაა, საცხოვრებელ სახლს თავისუფლად დაიტევს და არ არის აუცილებელი, ამის გამო აუზი დაანგრიო. სავაჭრო ცენტრის აშენება სასაცილოდაც მეჩვენება, კორპუსის აშენება კი ჩემი იდეა იყო, ერთ დროს. საშუალება რომ მქონდეს, აუზის გვერდით 2000 კვადრატზე მეტი ადგილია, წარმოიდგინეთ, რა ფასად გაიყიდება იქ ბინები, სადაც გვერდით ისეთი ბრენდია, როგორიც „ლაგუნა ვერეა.“

— საზოგადოება და პერსონალი საცურაო კომპლექსის დახურვის გამო საპროტესტო აქციებით იმუქრება...

— მათი ნებაა... სხვათა შორის, ამას თითქოს წინასწარ ვგრძნობდი, იქნებ ეს საკითხი ერთ კვირაში ისე გადაწყდეს, კომპლექსს დახურვა არც მოუწიოს.

ბუნებრივია, „ვერსია“ შეეცადა, ამომწურავი ინფორმაცია იმ ადამიანისგანაც მიეღო, ვინც თანამშრომლებს ესაუბრა. როგორც თანამშრომლებმა მიგვითითეს, „ქართუ ჯგუფს“ დავუკავშირდით, თუმცა იქ გვიპასუხეს, რომ ეს თემა მათთვის სრულიად უცხოა და „ლაგუნა ვერესთან“ არანაირი შეხება არ აქვთ. არადა, ალბათ, უკეთესი იქნება, თუკი ახალი მენეჯმენტი საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის, რა ტიპის სარემონტო სამუშაოები იგეგმება, რადგან ამით უამრავ გაუგებრობას ავიცილებთ თავიდან და დაინტერესებულ თანამშრომლებსა თუ მოსახლეობას საქმის რეალურ ვითარებას ავუხსნით.

„ვერსიამ“, დავით ბედოიძის ლექსიკით რომ ვთქვათ, მოინდომა, „ლაგუნა ვერეს“ ახალ უფროსს დავით ჩხეტიანსაც დაუკავშირდა და მასთან ინტერვიუს ჩაწერაც მოახერხა:

— ბატონო, დავით, „ქართუ ჯგუფი“ ამბობს, რომ „ლაგუნა ვერესთან“ არაფერი აკავშირებს. თქვენ რომელ კომპანიას წარმოადგენთ?

— წარმოვადგენ კომპანია „იუნიონს“, რომლის დირექტორადაც 1 კვირის წინ დავინიშნე, მანამდე 7 წლის განმავლობაში ეს თანამდებობა ვეფხო ხუნძაგიშვილს ეკავა, ამასთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

დასასრული მე-6 გვერდზე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ფეროს წყალი საშინელ მდგომარეობაშია და უკვე ორი თვეა ვერ ვსვამთ“

ე.წ. მავნე წარმოებებში დასაქმებულების გამოსვლები, უკვე პერმანენტულ სახეს იღებს. ამჯერად, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშებმა მორიგი საპროტესტო აქცია ჭიათურაში გაფიცული მაღაროელების სოლიდარობის ნიშნად მოაწყვეს. შესვენების დროს, ფეროს მიმდებარე ტერიტორიაზე ქარხნის თანამშრომლებმა პრობლემებზე ისაუბრეს და ქარხნის მესაკუთრეებს საკუთარი პირობა გააცნეს: **„კარგად ვიცით მაღაროელების გაჭირვება. მაღაროელებისგან განსხვავებით, გასული წლის მაისში ორკვირიანი გაფიცვა ჩვენც გვქონდა, ამიტომ დღეს სოლიდარობას ვუცხადებთ ჭიათურელ მუშებს“.**

მათივე თქმით, პრობლემები იდენტურია, ჭიათურელების მსგავსად, არც მათ ურიგდებათ სპეციალური ტანსაცმელი, არ არის დაცული შრომის უსაფრთხოება, რის გამოც ორი მუშა დაშავდა.

როგორც ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირების თავმჯდომარე **კახა მაჩიტიძე** აცხადებს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ფეროშენადნობი ქარხნის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს: **„ჩვენ კარგად ვიცით მაღაროელების გაჭირვება — არ სრულდება შრომის ახალი კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები, არ ხდება ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, კარგა ხანია არ დაურიგებიათ სპეციალური ტანსაცმელი, არ არის დაცული შრომის უსაფრთხოება, რის გამოც ორი მუშა დაშავდა. ერთს ხელი აქვს მოტეხილი, მეორემ საშუალო ხარისხის დამწვრობა მიიღო, საშინელ მდგომარეობაშია წყალი და უკვე ორი თვეა ვერ ვსვამთ“.**

უფლებადამცველი და ეკოლოგი **ლაშა ჩხარტიშვილი** ამბობს, რომ ქვეყანაში შრომის კოდექსი გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც შორსაა დანაპირებისგან, რასაც „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე სთავაზობდა საზოგადოებას: **„განხორციელებული ცვლილება, პრაქტიკულად არ ასახულა დაქირავებულთა მდგომარეობაზე. ქვეყანაში უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია, მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება შეინიშნება. მეორე მხრივ, როცა სამუშაო ბაზარზე კონკურენცია არ არსებობს, დამქირავებლები თანამშრომლებს ისე ეპყრობიან, როგორც მოესურვებათ, აბსოლუტურად არ ითვალისწინებენ მათ ელემენტარულ შრომით უფლებებს. მთავრობის როლი იქით იყოს და, ბიზნესის მფლობელს აკრძალული აქვს დაქირავებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემოს შექმნა, ელემენტარული უსაფრთხოების ნორმების არდაცვა. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში სანიტარული ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუქმებულია, რაც გვაქვს, ისიც ავალდებულებს წარმოებას, ადამიანები მავნე წარმოებაში დაზიანებისთვის არ გაწიროს.**

გვახსოვს აფეთქების შედეგად გამოწვეული ტრაგიკული შემთხვევები ტყიბულის მაღაროში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს როლი წამყვანი უნდა იყოს, მმართველი გუნდი დამქირავებლებს ელემენტარული ვალდებულებების შესრულებას უნდა სთხოვდეს და საჭირო შემთხვევაში, აიძულებდეს კიდეც. მათ ავიწყდებათ, რომ ინვესტიცია კარგია, მაგრამ ის, პირველ რიგში, მოქალაქეებს უნდა ემსახურებოდეს; არ შეიძლება ინვესტიციების დაცვა, ადამიანების სიცოცხლის, გარემოს, ეროვნული მემკვიდრეობის ხარჯზე, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით“.

სად არის გამოსავალი, როდესაც ამ რთულ ვითარებაში ხელისუფლება საკუთარ ვალდებულებას არ ასრულებს? ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ გამოსავალი, უპირველესად, თავად დაქირავებულთა სამართლიან ბრძოლაშია: **„ამავე დროს, საჭიროა რეალური პროფკავშირების ჩამოყალიბება და ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. უნდა მოახერხონ და აიძულონ, ერთი მხრივ, დამქირავებლები და, მეორე მხრივ, ხელისუფლება (რომელიც ხშირად მფლობელებთან შეზრდილია), დაკმაყოფილდეს მათი ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების, სოციალური უფლებები. ყველა ქვეყანამ ბრძოლის ეს ეტაპი გაიარა და მხოლოდ მთავრობის იმედად ყოფნა არაფრისმომტანია. არ უნდა აცალონ ხელისუფლებას, საბოლოოდ შეეზარდოს ბიზნესის მესაკუთრეებს და ერთად აკეთონ ფული, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე“.**

მართლაც, წარმოუდგენელია ის რეალობა, რომელშიც ზესტაფონის, ტყიბულის წარმოების მუშებს უწევთ ყოფნა. მავნე გარემო, სოციალური გარანტიების არქონა, ადამიანებს, საპროტესტო გამოსვლების გარდა, სხვა გზას არ უტოვებს. იმ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რომელიც, ადრე თუ გვიან, მთელი ძალით ამოხეთქავს და ქვეშ მოიყოლიებს ე.წ. დამქირავებლებსაც, ამიტომ დასკვნები დროულად უნდა გააკეთონ და მეტი ფინანსები დახარჯონ ნორმალური სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

„თუ პანჩურს ამოგვარტყამენ, ბიძინა ივანიშვილთან მივალთ ან გადავკეტავთ გზებს, 400 შეზლონგი გვაქვს, გავშლით და ზედ დავწვებით, აბა, რა ვქნათ?“

მე-5 გვერდიდან

— უამრავი კითხვა ჩნდება ობიექტთან დაკავშირებით, ამას დამატებული გაბრაზებული თანამშრომლების კომენტარები...

— როცა ადამიანს საარსებო წყარო უწყდება, უარესს რომ არ ამბობს, მიკვირს. მათ აქ მცირე ანაზღაურება ჰქონდათ და ახლა იმასაც კარგავენ. მართალია, ვითვალისწინებთ კოლექტივის მდგომარეობას, მაგრამ ასეთ ავარიულ მდგომარეობაში ობიექტს ექსპლუატაციაში ვერ გავუშვებთ და საკუთარ თავზე ამ პასუხისმგებლობას მე, როგორც დირექტორი, ნამდვილად ვერ ავიღებ.

— იქნებ დააკონკრეტოთ, „ობიექტის ავარიული მდგომარეობა“ რას ნიშნავს — რა მდგომარეობაშია დღეს „ლაგუნა ვერე“?

— „ლაგუნა ვერე“ 1978 წელს აშენდა. პირველი 10 წელი არანაირ შეკეთებას არ საჭიროებდა, მერე დაემთხვა 90-ანი წლები, არეულობა... მაშინ სპორტისთვის არავის ეცალა. გამოდის, დღემდე თავი იმ ძველი რესურსით მოიტანა. წინათ თუ მერია და სახელმწიფოს სპორტული კომიტეტი მხარს უჭერდა მის განვითარებასა და შენარჩუნებას, ნელ-ნელა ეს პირობები შემცირდა და დღეისთვის არსებულ ტექნიკურ მდგომარეობამდე მივედით. ამას დაემატა კომუნალური ხარჯის ტარიფების ზრდა, თუ მოსახლეობას აქვს ერთი სახის ტარიფი, წარმოებისთვის იგი 50 პროცენტით მეტია. მარტო ბოლო პერიოდში წყალი 3.50-დან 4.50 ლარამდე გაიზარდა. იმისთვის, რომ არ დაირღვეს გარკვეული პარამეტრები ავზების შესავსებად, დღეში 500 ტონა წყალი გვჭირდება. წარმოიდგინეთ, ეს ამ ორგანიზაციასა და საზოგადოება „იუნიონს“ რა ფასი უჯდებოდა. 26 ათასი მდინარე და ტბაა საქართველოს ტერიტორიაზე. ამით მსოფლიოს 5 ქვეყანაში შევდივართ და წყალს ამხელა ფასი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს. მაგალითად, თურქეთი როცა თავად მოიპოვებს ბუნებრივ აირს, საკუთარ მოსახლეობასაც უფასოდ აძლევს. კოლექტივს რაც შეეხება, მათთან წლიდან წლამდე გრძელდებოდა ხელშეკრულებები. ბუნებრივია, 31 დეკემბერს იგი შეწყდა და უნდა განახლებულიყო, თუ ტექნიკური მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემდა. ტრადიციულად, იანვარში, არდადეგების დროს, ფილტრების გაწმენდა-დამუშავება-აღდგენის პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდებოდა, რის შედეგადაც, წელს დადგინდა — ეს ტექნიკა იმდენად ამორტიზირებულია და მილები ისეა მწყობრიდან გამოსული, ფაქტობრივად, ერთი ხელის შეხებითაც შეიძლება ავზები წყლისგან დაიცალოს. თვითონ აუზებიც მხოლოდ იმიტომ არ ინგრევა, რომ თავიდანვე ძალიან დიდი რესურსია ჩადებული. თანაც კლდეზე დგას, თორემ დანარჩენი ტერიტორია დაჭაობებულია.

— ვითარების გამოსასწორებლად, კონკრეტულად, რა სამუშაოებია ჩასატარებელი?

— ძველი ტექნიკა თანამედროვე, გაცილებით გამძლე პლასტმასის წყალგაყვანილობით უნდა შეიცვალოს. წყალსადენის ტექნიკური მუშაკები ექსპერტიზას ჩაუტარებენ მთელ კომუნიკაციას; მერე გაკეთდება გარკვეული პროექტი ან ხარჯთაღრიცხვა, რა მოცულობის სამუშაოები იქნება ჩასატარებელი. უნდა გამოვძებნოთ როგორც წყლის, ასევე ელექტროენერგიის მოპოვების ალტერნატიული საშუალებები. გვინდა მზის ენერგიის გამოსაყენებლად შესაბამისი დანადგარების შეძენა, ასევე გავაკეთეთ „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე 15 წლის წინ გათხრილი ჭაბურღილის რევიზიაც. მოპოვებული წყალი წავიღეთ ლაბორატორიაში, რათა დადგინდეს ვარგისიანობა. რაც უფრო ბინძურია, მისი გაწმენდა მეტ ხარჯთანაა დაკავშირებული. ჭაბურღილიდან ალტერნატიული წყლის მოპოვება, 1000-ჯერ შეგვიმცირებს გადასახადებს. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ჩვენს ზემოთ ახალი უბანი გაშენდა. მისი მშენებლობით გამოწვეულმა ვიბრაციამ, ჩამოანგრია კლდის ნაწილი, შემოვარდა ჩვენთან ეზოში და დაგვიზიანა 2 დარბაზი. რის გამოც, ყოველთვიურად, 30 000 ლარის ოდენობის შემოსავალი დავკარგეთ.

— მერე, დასახმარებლად,არ მიმართეთ შესაბამის ორგანოებს?

— მერიას 3 წელიწადია დახმარებას ვთხოვთ, მაგრამ უშედეგოდ.



„საბურთალოს გამგებელმა ნაციონალი პარტაქტივის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 84 000 ლარი გახარჯა“

დადგება თუ არა გია ხუროშვილის პასუხისმგებლობის საკითხი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ 2013 წლის იანვარ-ივლისში, დედაქალაქის რამდენიმე გამგეობაში შემოწმება ჩაატარა. კომისიამ, რომელსაც მიხეილ ქავთარაძე თავმჯდომარეობს, საბურთალოს რაიონში ფინანსური დარღვევის ფაქტი აღმოაჩინა. ქავთარაძის ინფორმაციით, გამგებელმა გია ხუროშვილმა ბრძანება № 3 გამოსცა, რომლის საფუძველზეც, საბურთალოს რაიონში, სამი სათათბირო ორგანო შექმნა. სამ ტერიტორიულ ერთეულში, ჯამში, 112 კაცისგან შემდგარ სათათბირო ორგანოს იგივე ფუნქციები აქვს, რაც მუნიციპალიტეტებს. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ინფორმაციით, 2013 წლის მეოთხე კვარტალში, სათათბიროს 112 წევრზე ბიუჯეტიდან 750-ლარიანი დახმარება გაიცა, რამაც ჯამში 84 000 ლარი შეადგინა. პარალელურად, ისინი საკრებულოს მიერ დამტკიცებულ წახალისებასაც იღებდნენ, რაც 375 ლარითაა განსაზღვრული. მთლიანობაში, საბურთალოს რაიონის სათათბიროს წევრებმა ბიუჯეტიდან 1 125 ლარი მიიღეს. საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნას საბურთალოს რაიონის გამგებელი გია ხუროშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება და „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური დაკვეთაა, რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრები ასრულებენ.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, საბურთალოს რაიონის სათათბიროებში ის პირები არიან გაწევრიანებულები, რომლებიც „თბილსერვისისა“ და „თბილისის განვითარების ფონდის“ გახმაურებულ საქმეებზე არაერთხელ დაიკითხნენ. მიხეილ ქავთარაძის თქმით, თბილისის მერიამ გადაწყვიტა, საკუთარი პარტაქტივი სწორედ ამ გზით დაესაქმებინა:

„მინდა, ამ ადამიანებსა და მათი ოჯახის წევრებს მივმართო, რომ გიგი უგულავას ინტერესები არ ღირს ამად. სამწუხაროა, რომ ისინი ჩართულები არიან ამ ტიპის პოლიტიკურ თამაშებში, მოვუწოდებ, ნუ მიიღებენ თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსებას. ფაქტია, ეს თანხა არამიზნობრივად იხარჯება, ხოლო საბურთალოს რაიონის გამგეობის ქმედება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს სცილდება. აქედან გამომდინარე, ამ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტაციას, შემდგომი რეაგირებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს გადავცემთ“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, **მიხეილ ქავთარაძემ** აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონის სათათბიროში, სხვადასხვა ამხანაგობის წევრები, უბნის კოორდინატორები და ნაციონალური მოძრაობის პარტაქტივის წარმომადგენლები არიან. მისი თქმით, გამგეობაში სათათბიროს შექმნით კანონი არ ირღვევა, მაგრამ დაფინანსება კონკრეტულ კითხვებს ბადებს:

„პარტიული აქტივის დასაფინანსებლად, ეს არაპირდაპირი წესით, საბიუჯეტო სახსრების გამოყენებაა. რატომ გადაუხადა სათათბიროს 112 წევრს საბურთალოს რაიონის გამგებელმა 750-750 ლარი მაშინ, როდესაც ეს ხალხი საკრებულოს მიერ დამტკიცებულ წახალისებას — 375 ლარს ისედაც იღებს? რა საჭიროა დაფინანსებული სათათბირო ორგანოს შექმნა, როდესაც არ გააჩნიათ ოფიციალურად განსაზღვრული იურიდიული ადგილმდებარეობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? ეს ორგანოები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სარგებლობენ ტერიტორიული ერთეულის შენობითა და ინვენტარით. თუ საბურთალოს გამგეობას მაინცდამაინც სათათბირო სჭირდება, ისეთი ორგანო შექმნას, რომელსაც დაფინანსება არ დასჭირდება და, რომელიც უბნის საკეთილდღეოდ იმუშავებს. ჩვენმა კომისიამ ამის შესახებ უკვე მიწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და, შესაბამისად, მათი საგამოძიებო სამსახური ამ ფაქტით დაინტერესდება“.

საბურთალოს რაიონის გამგებელი **გია ხუროშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნა პოლიტიკური დაკვეთა იყო. მისი თქმით, კომისია საბურთალოს რაიონში შესამოწმებლად 2014 წლის 6 მარტს შევიდა და, რაც მთავარია, ათასობით დოკუმენტი მხოლოდ ერთ არასრულ დღეში შეისწავლა. გია ხუროშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სარევიზიო კომისია გამგეობაში დღის ბოლომდეც კი არ გაჩერდა: **„მიხეილ ქავთარაძის ერთადერთი ამოცანა იყო, რაც შეიძლება სწრაფად მიეყენებინა დარტყმა საბურთალოს გამგეობის მუშაობაზე და, შესაბამისად, დაჩქარებული წესით, ერთ დღეში შეასრულა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე პოლიტიკური დასკვნა მოამზადა. სათათბიროები ნახევარ წელზე მეტია შეიქმნა, მაგრამ თბილისის საკრებულო არასოდეს დაინტერესებულა, როგორ ფუნქციონირებს ან რა საქმეს აკეთებენ ეს ადამიანები. გარდა იმისა, რომ სარევიზიო კომისიამ ათასობით დოკუმენტი ერთ დღეში შეისწავლა, ფაციფუცით გაიქცნენ გამგეობიდან, ნაჩქარევად დაწერეს დასკვნა და ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებები წამოგვიყენეს. როგორც წესი, კომისია მუშაობის დასრულებისთანავე, განმარტებებს ითხოვს გამგებლისგან, მაგრამ ისე გაცვივდნენ გამგეობის შენობიდან, ჩემგან არანაირი განმარტება არ მოუთხოვიათ“.**

მისი თქმით, ყოფილმა ნაციონალებმა, რომლებიც, ამჟამად, „ქართულ ოცნებაში“ დაპორტიდნენ, საბურთალოს რაიონის სათათბირო ორგანოების წევრებს ჩირქი მოსცხეს. ხუროშვილი ამბობს, რომ თავის დროზე, როდესაც შიხიაშვილი, თევდორაძე, ქველაძე და სხვები, ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ, ამხანაგობების თავმჯდომარეებსა და წევრებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ, რათა თანამდებობები შეენარჩუნებინათ: **„შიხიაშვილებს, თევდორაძეებს, ქველაძეებსა და ქავთარაძეებს, საკუთარი მავნე ჩვევებიდან გამომდინარე, ჰგონიათ, რომ ამ ადამიანებს დღესაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. რატომ არ ანებებენ პორტირებული ნაციონალები ამ ხალხს თავს და რატომ მოინდომეს მათი აფეთქება მაინცდამაინც დღეს? — იმიტომ, რომ სათათბირო ორგანოების წევრებს არაპირდაპირი გზით ემუქრებიან, არადა ისინი მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით სარგებლობენ, თუმცა პორტირებულ ნაციონალებს ეშინიათ, რადგან საქმის კეთება არ შეუძლიათ და ყველას ებრძვიან, ვინც მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს“.**

რაც შეეხება სათათბირო ორგანოების დაფინანსებას, გია ხუროშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი შიხიაშვილმა ამხანაგობების თავმჯდომარეებს საკრებულოს მიერ დამტკიცებული 375-ლარიანი წახალისება გაუუქმა. მართალია, მოგვიანებით აღადგინეს, მაგრამ საბურთალოს რაიონის სათათბირო ორგანოების წევრები მაშინაც კი მუშაობდნენ, როდესაც მათთვის განკუთვნილ წახალისებას ვერ იღებდნენ. შესაბამისად, გია ხუროშვილმა თბილისის მთავრობას მიმართა და მათი დადგენილებით, სათათბიროების წევრებისთვის 750-ლარიანი დაფინანსების საკითხი გადაწყვიტა. გია ხუროშვილი ამბობს, რომ 84 000 ლარი, რომლითაც საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ ქავთარაძე აპელირებს, სწორედ იმ ორი თვის განმავლობაში გამოტოვებული თანხაა, როდესაც შიხიაშვილმა ჯერ გააუქმა წახალისების გაცემა, მაგრამ შემდეგ აღადგინა: **„სწორედ საბურთალოს რაიონის სათათბირო ორგანოების წევრების შრომის შედეგად მოვიძიეთ დაახლოებით, 7 000-მდე მარტოხელა, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მრავალშვილიანი ოჯახი, რომლებიც გამგეობის მიერ გაწეულ დახმარებას პერიოდულად იღებენ. მაშინ, როდესაც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო თევდორაძე იყო, სოციალურად დაუცველი ამ კატეგორიის ადამიანების შესახებ, არავინ არაფერი იცოდა. როგორც წესი, საკრებულოს უმრავლესობის წევრებს ადამიანები არ აინტერესებთ, რადგან ცდილობენ, როგორმე ხალხის ხმები მოიპოვონ და არა ნდობა, რათა ისევ მოხვდნენ საკრებულოში და თანამდებობები შეინარჩუნონ. ადამიანებს ასე არ ვუყურებ და ეს იმითაც დასტურდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. აქედან გამომდინარე, საკრებულოს უსაქმური წევრებისთვის, ჩემი ამ ტიპის ქმედებები პოლიტიკური საფრთხის შემცველია და გადაწყვიტეს, მაქსიმალურად დაჩქარებული წესითა და უმოკლეს ვადებში, რაც შეიძლება, მეტი ტალახი მიასხან საბურთალოს რაიონის გამგეობას. მინდა, დეზინფორმაციისგან შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებას, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასა და რიგით მოქალაქეებს მოვუწოდო, რომ კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ გადაწყვეტილების მიღების დროს, რათა ამ ტიპის უპასუხისმგებლო ადამიანებს ძალაუფლება ხელში არ ჩაუგდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება“.**

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური საკრებულოს სარევიზიო კომისიის მასალებს ჩაიბარებს (მიხეილ ქავთარაძის წერილი უწყებაში უკვე შესულია), დაიწყება მოკვლევა, რათა დადგინდეს, რა ტიპის ფინანსურ დარღვევას ჰქონდა ადგილი საბურთალოს გამგეობაში, ან იყო თუ არა დარღვევა საერთოდ. მხოლოდ გამოძიების შემდეგ განისაზღვრება, დადგება თუ არა საბურთალოს რაიონის გამგებლის, გია ხუროშვილის პასუხისმგებლობის საკითხი ან რა ტიპის ფინანსური ჯარიმა დაეკისრება გამგეობას თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ვერსიანიუსი

31-ე ბატალიონის სამხედროებმა სოფელ ჩრდილო მუჰამადაბადში წმენდის ოპერაცია ჩაატარეს

ISAF-ის მისიაში მონაწილე 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციის სოფელ ჩრდილო მუჰამადაბადში წმენდის ოპერაცია კოდური სახელით „გრიფონი III“ ჩაატარეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ოპერაცია მოწინააღმდეგის მოსალოდნელი ორგანიზებული შეტევის აღკვეთას ისახავდა მიზნად.

31-ე ბატალიონის „ალფას“ ასეულმა სოფლის იზოლირება ამერიკელი სამხედროებისგან დაკომპლექტებული მხარდამჭერი ჯგუფით განახორციელა. ოპერაციის შედეგად, მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო დასახლებული პუნქტიდან გასვლა და მომაკვდინებელი მასალის გატანა. მათ არც სხვა დაჯგუფებების დახმარების მიღების საშუალება მიეცათ. ობიექტის იზოლირებას დასახლებული პუნქტის წმენდა მოჰყვა, რომლის დასრულების შემდეგაც ქართველმა სამხედროებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა („შურა“) გამართეს. „შურას“ დროს ყურადღება სოფელში არსებულ პრობლემებზე, უსაფრთხოების საკითხებსა და ადგილობრივებთან სამომავლო თანამშრომლობაზე გამახვილდა. „ალფას“ ასეულის სამხედროებმა მოსახლეობას პირველადი სამედიცინო დახმარება ჩაუტარეს და საჩუქრებიც გადასცეს.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, „გრიფონი III“ 12 საათს გაგრძელდა. ოპერაციას „ალფა“ ასეულის მეთაური, კაპიტანი ზაზა გორგოძე ხელმძღვანელობდა. მასში მონაწილეობა 130-მა ქართველმა და 14-მა ამერიკელმა სამხედრომ მიიღო. ჩართული იყო 24 ჯავშანმანქანა MRAP. ასეულის უსაფრთხოებას ჰაერიდან „ოსპრისა“ და „ჩინოკის“ ტიპის ორი საბრძოლო ვერტმფრენი უზრუნველყოფდა. ოპერაციის მსვლელობას ადგილზე 31-ე ბატალიონის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი მეშველიანი და ტაქტიკური დაჯგუფების მეთაური პოლკოვნიკი პიტერ ბაუმგარტენი ზედამხედველობდნენ.

„გრიფონი III“ წარმატებით დასრულდა. ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცები ბაზა „ლეზერნეკზე“ მშვიდობით დაბრუნდნენ.

„გრიფონი III“ იმ ოპერაციების სერიის გაგრძელებაა, რითაც 31-ე ბატალიონი საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონის სრულ კონტროლს ახორციელებს. ოპერაციამ ზემდგომი ამერიკული ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებას, დაგეგმვასა და განხორციელებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ალექსანდრე ე. ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისში, წურწუმიას ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც თამბაქოს სავაჭრო ჯიხურში ყალბი კუპიურის გასაღებას ცდილობდა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ყალბი 556 ათასი რუსული რუბლი (17 850 ლარის ეკვივალენტი) და 2 ცალი ყალბი 10-ლარიანი კუპიურა, ხოლო მისი ავტომანქანის ჩხრეკისას ფერადი პრინტერი ამოიღეს.

ალექსანდრე ე. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე სამცხე-ჯავახეთში ორი პირი დააკავა

შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს და ანტიკორუფციული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაბა ადიგენსა და ქალაქ ახალციხეში, ქრთამის აღების ფაქტზე, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადიგენის სატყეო უბნის ტყისმცველი მამუკა ე. და სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის ტყისმცველი შალვა გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მამუკა ე. და შალვა გ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თანხის სანაცვლოდ, მოქალაქეებს ტყის უკანონოდ გაჩეხვის უფლებას აძლევდნენ.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ზუგდიდის გამგებლის მოადგილის დედა ლალი ანთია დააკავეს

დაკავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში დაკითხვაზე დაიბარეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელის ლალი ანთიას დაკავების ფაქტი დაადასტურა და განმარტებაც გააკეთა — ანთია დაკავებული იყო თაღლითობის ბრალდებით და მას გარკვეული პერიოდი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარებული ჰქონდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სასჯელი გადაიბადეს.

სამინისტროსვე ინფორმაციით, ლალი ანთიას სასჯელაღსრულების სისტემაში შებრუნების შესახებ სამართალდამცველებს სასამართლომ მიმართა.

ლალი ანთია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელი და ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის გიზო სართანიას დედაა.

„ვერსიანიუსი“

მთავარი პროკურორი აღასტურებს, რომ ნარკო და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება აღარ გაფორმდება

„თითოეულ დანაშაულს ინდივიდუალურად განვიხილავთ. სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკის მომხმარებლებს ერთნაირად არ დავსჯით. ნარკორეალიზატორები კი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან!“

„ვერსია“ ექსკლუზიურად წერდა, რომ მთავარმა პროკურატურამ დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრება გადაწყვიტა. მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის ინიციატივით, ნარკოტიკულ და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება ნაკლებად მკაცრი პირობებით გაჭირდება. საპროცესო შეთანხმების იმედი არც იმ პირებს უნდა ჰქონდეთ, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პრეზიდენტის შეწყალების შედეგად გამოვიდნენ და დანაშაული კვლავ ჩაიდინეს. არ არის გამორიცხული, თავდაპირველად, ამ ინიციატივამ ციხეების გადავსება გამოიწვიოს, მაგრამ მეორეს მხრივ, პატიმართა გაზრდილი რაოდენობა იმის მანიშნებელი იქნება, რომ დანაშაული ისჯება, ნარკომომხმარებელს კი ეცოდინება, რომ 2000 ლარის ნაცვლად არ გაათავისუფლებენ. მთავარმა პროკურორმა ბიორგი ბადაშვილმა საინფორმაციო სააგენტო „პირველთან“ ინტერვიუში, დაადასტურა, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება აღარ გაფორმდება და საკითხთან დაკავშირებით, განმარტებებიც გააკეთა:

— სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზებას გარკვეულად კარგი შედეგი ჰქონდა და ეს პროცესი წარმატებით გრძელდება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არსებობს დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა კლებაც, წინა წლებთან შედარებით, ნელი ტემპით მიმდინარეობს. სწორედ ამგვარი კატეგორიის დანაშაულია ჩვენი სამიზნე... როდესაც ქვეყანაში არსებობს საამისო ბერკეტი და სამართლებრივი შესაძლებლობა, პროკურატურამ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს დანაშაულის კლების ხელშეწყობისთვის. დანაშაულის პრევენციის მიზნით, მეტი ეფექტურობის მისაღებად, ვგეგმავთ საზოგადოების ინფორმირებას დანაშაულის არსსა და შემდგომ მიდგომებზე. ჩემი ინიციატივით მივიღეთ გადაწყვეტილება, გაგვემკაცრებინა მიდგომა კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობს საპროცესო შეთანხმების ცნება, რაც სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. ამ მიმართულებით ვიმუშავებთ განსაკუთრებით ნარკო, ასევე მძიმე კატეგორიის — ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირებთან მიმართებაში. ახალი ინიციატივის ფარგლებში, ვამკაცრებთ საპროცესო შეთანხმების დროს შეთავაზებული სასჯელის სახესა და ზომებს. უფრო კონკრეტულად რომ ავხსნათ, თუ წინა პერიოდში პირი, რომელიც ამგვარი დანაშაულის ჩადენისთვის იქნებოდა ბრალდებული, ხშირად პირობითი სასჯელითა და ჯარიმით კმაყოფილდებოდა ანუ დაკავებული სახლში მიდიოდა და სასჯელს პირობით იხდიდა, ახლა ეს პრაქტიკა შეიცვალა რეალური საპატიმრო სასჯელით, თავისუფლების აღკვეთით, რაც საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდგომ ბრალდებულის გარკვეული პერიოდით პატიმრობაში დარჩენას გულისხმობს. ეს ინიციატივა, რა თქმა უნდა, არსით არ იქნება მუდმივი — მისი მიზანია დანაშაულის ჩამდენ პირზე ზემოქმედება, რათა განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

— ანუ პროკურატურა საპროცესო შეთანხმებებს აღარ აფორმებს სასჯელის სხვა სახეების გამოყენებით?

— საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ თითოეულ დანაშაულს პროკურატურა განიხილავს ინდივიდუალურად. დამნაშავეზე შევკრებთ ინფორმაციას მისი პიროვნების, ოჯახური მდგომარეობისა და წარსულში ნასამართლობის შესახებ. მხოლოდ აღნიშნული ცნობების გაანალიზების, დანაშაულის ჩადენის მიზნისა და მოტივის დადგენის შემდგომ გადაწყდება, ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის რა ზომა და სახე იქნება ადეკვატური. ხშირად სვამენ კითხვას — რატომ უნდა დაისაჯოს მარიხუანას მომხმარებელი ისევე, როგორც სხვა უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი ან გამსაღებელი? ასე არ იქნება! სწორედ ამიტომ ვსაუბრობ ინდივიდუალურ მიდგომაზე... რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებლებს, მათ საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდება და კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. სამწუხაროა, როდესაც ვაწყდებით წინა წლებში შენყალებული პირების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ფაქტებს. მათ მიეცათ შესაძლებლობა, მოეხდინათ თავის რესოციალიზაცია და თუ ეს შანსი ვერ გამოიყენეს, კვლავ მიმართულები არიან საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენისკენ, სასჯელი, რა თქმა უნდა, მკაცრი იქნება.

— ეს გამკაცრება იმან ხომ არ გამოიწვია, რომ ნარკოდანაშაულის სტატისტიკა გაიზარდა?

— ასე ნამდვილად არ არის. წინა წლებთან შედარებით, ნარკოდანაშაული შემცირებულია, მცირე მაჩვენებლით, მაგრამ ტენდენცია შეინიშნება. სწორედ ეს გახდა პროკურატურის ამ მიმართულებით გააქტიურების საფუძველი. დღეს პროკურატურის, პირადად ჩემი და თითოეული სამართალდამცავის მიზანია, საზოგადოებისთვის დანაშაულის კლება იყოს შესამჩნევი და რაც შეიძლება მოკლე ვადებში, მოქალაქეებმა თავი იგრძნონ დაცულად. დამატებით, თუ საზოგადოებრივ აზრსაც გავითვალისწინებთ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის გატარებისკენ ნარკო და სხვა დანაშაულთან ბრძოლაში, დარწმუნებული ვარ, შედეგი გარდაუვალი იქნება.

— ბოლო დროს საზოგადოებაში აქტიურად განიხილება ახალი ნივთიერება ბიოს და მისი მომხმარებლების საკითხი. ამ თემაზე რა პოზიცია აქვს პროკურატურას?

— მალე კანონში შევა ცვლილება და ის ნივთიერებები, რომლებიც მავნე ემოციურ ზემოქმედებას იწვევს, მიიღებენ ფსიქოაქტიური ნივთიერების სტატუსს. ეს ეხება პირველ რიგში, ბიოს. ფსიქოაქტიური ნივთიერებები კი ჩვენს ქვეყანაში დასჯადია და, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ კუთხით პოლიტიკა საკმაოდ გამკაცრდა.

ვერსიანიუსი

აჭარის პროკურატურამ თაღლითობის ფაქტზე ადვოკატი დააკავა

მთავარი პროკურატურის ცნობით, დაკავებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი გოჩა ფაშალიშვილი და მოქალაქე გურამ ჭაღალიძე.

პროკურატურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის მარტში გურამ ჭაღალიძემ შეიტყო, რომ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში განიხილებოდა გენადი გაბაიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული 19-177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის ფარგლებშიც ბრალდებულის ოჯახის წევრები დაინტერესებულნი იყვნენ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით: „მოქალაქე გურამ ჭაღალიძემ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და ბრალდებულ გენადი გაბაიძის ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ შეძლებდა საპატიმრო სასჯელის გარეშე გენადი გაბაიძის საქმის დასრულებას, რაშიც მას დაეხმარებოდა ნაცნობი პროკურორი გოჩა (ბადრი) ფაშალიშვილი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ იყო ადვოკატი, მოტყუებით, დაზარალებულებს თავი გააცნო თბილისის პროკურატურის პროკურორად და დაარწმუნა ბრალდებულ გენადი გაბაიძის ოჯახის წევრები, რომ მისი მეშვეობით პროკურატურასთან მოხდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება პირობით სასჯელზე, რის სანაცვლოდაც მათ დაზარალებულს გამოართვეს 1000 ლარი“.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახით თავისუფლების ოთხიდან შვიდ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

„მოვითხოვთ, გაუქმდეს წურბელა სითი-პარკი“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მოქალაქეები „მტაცებელი ევაკუატორშჩიკების“ წინააღმდეგ

ადვოკატმა **როინ მიგრიაულმა** კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ, მისი კუთვნილი ავტომანქანის უკანონოდ გადაყვანის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი მოიგო. ადვოკატის ინფორმაციით, სასამართლომ სარჩელი 28 თებერვალს დაუკმაყოფილა და მოსამართლემ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება კომპანიას დააკისრა, თანხა კი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ დაუბრუნდება: **„ჩემი მანქანა ამკრძალავი ნიშნის ქვეშ იდგა, სადაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი ნამდვილად ჰქონდა და ამას ვადასტურებ. დარღვევისთვის 10 ლარის ოდენობის ჯარიმაც გადავიხადე, მაგრამ „სითი პარკს“ არ ჰქონდა უფლება, მანქანა სპეცსადგომზე გადაეყვანა. ჩემი სარჩელი, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სრულად დაკმაყოფილდა“.**

მიგრიაულის თქმით, კანონით, „სითი პარკს“ მანქანის გადაყვანის უფლება იმ შემთხვევაში აქვს, თუ სატრანსპორტო საშუალება კეტავს ქუჩას და მოძრაობას უშლის ხელს, სხვა შემთხვევაში კი, სამართლებრივად, მანქანის სპეცსადგომზე გადაყვანა არ შეიძლება: **„თუ მანქანა დგას ამკრძალავი ნიშნის ქვეშ, მაგრამ ხელს არ უშლის მოძრაობას, „სითი პარკს“ არ აქვს მისი წაყვანის უფლება“.**

„სითი პარკს“ უპირისპირდება პარტია „თავისუფალი საქართველო“, რომლის წევრებიც, პარკირების 50-ლარიან გადასახადს აპროტესტებენ და თბილისის მთავრობასა და კომპანია „სითი პარკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვენ. პარტიის წარმომადგენლები **ალექსანდრე შალამბერიძე, ილია კოლხიდაშვილი** და **ერემია ბერიშვილი** „სითი პარკს“ მოქალაქეების წინააღმდეგ ყაჩაღურ მოქმედებაში ადანაშაულებენ: **„ხელშეკრულება, რომელიც თბილისში პარკირების სფეროს ექსკლუზიურ მართვასთან დაკავშირებით, თბილისის მთავრობასა და „სითი პარკს“ შორის დაიდო, რეალურად, მერიის მაღალჩინოსნებსა (ქალაქის მაშინდელი მერი უგულავა და ვიცე-მერი ახვლედიანი) და აღნიშნულ კომპანიას შორის კორუფციული გარიგებაა. „სითი პარკი“ თავიდანვე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6-თვიანი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებას, პარკირების ახალი სისტემის დანერგვას, პარკირების საფასურის გადახდის სპეციალური მოწყობილობების, ეკრანიანი და ფიჭური სისტემების დამონტაჟებასა და სამი სპეციალური საჯარიმო სადგომის მოწყობას ითვალისწინებდა, რეკორდულ დროში დამონტაჟდა დგომა-გაჩერების ამკრძალავი ნიშნები, სასწრაფოდ დაიხაზა ტროტუარები (რითაც უხეშად დაირღვა ფეხით მოსიარულეთა უფლებები და საფრთხე შეექმნა მათ სიცოცხლეს) და მოსახლეობისგან ფულის წაგლეჯის მიზნით, ავტომანქანებზე ნადირობა დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, არაერთი განცხადება გავაკეთეთ, 2013 წლის 25 სექტემბერს და 8 ოქტომბერს, მერიას ოფიციალური წერილებითაც მივმართეთ, მაგრამ „სითი-პარკმა“ მოქმედების ყაჩაღური სტილი არ შეცვალა. კომპანია განაგრძობს მოქალაქეების კუთვნილი ავტოტრანსპორტის ფარულად გადაყვანას სპეცსადგომზე და მორალურ თუ მატერიალურ ზიანს აყენებს მათ. ამ ფონზე, „თავისუფალი საქართველო“, პარკირების 50-ლარიანი გადასახადის და მასთან ერთად, „წურბელა სითი პარკის“ გაუქმების ინიციატივით გამოდის — ეს კომპანია, მხოლოდ თბილისელებისა და თბილისში ჩამოსული სტუმრებისგან ფულის გამოძალვის მიზნითაა შექმნილი“.**

რა ეშველება თბილისის დანგრეულ გზებს

საკრებულოს წევრი თბილისის მერიას საბოტაჟში ადანაშაულებს, მერიაში აცხადებენ, რომ გზების შეკეთება უკვე დაიწყო

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ცივი ზამთრის შემდეგ თბილისის გზების საფარი საგრძნობლად დაზიანდა, რამაც მძღოლების უკმაყოფილება გამოიწვია. გაფუჭებულ ტრანსპორტსა და მოახლოებულ ავტომობილების სავალდებულო ტექნიკურ დათვალიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დედაქალაქის ქუჩებში ჯაყჯაყით სიარული, უბრალოდ, უსიამოვნოა. რატომ გაჭიანურდა სარემონტო სამუშაოები მერიის მხრიდან და რა არგუმენტი აქვთ პასუხისმგებელ პირებს? კულუარებში ამბობენ, თბილისის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით პრობლემები რომ შეიქმნა, ადგილობრივ ხელისუფლებას გზების შეკეთებისთვის საჭირო თანხა არ ჰქონდაო, თუმცა ამ აზრს არ იზიარებს თბილისის საკრებულოს წევრი **ჯაბა სამუშია: „დღეისთვის არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა და თბილისში არსებული გზები კრიტიკას ნამდვილად ვერ უძლებს. რუსთაველის გამზირი, ვაჟა-ფშაველა, ნუცუბიძის პლატო... ცენტრალურ ქუჩებზეც უამრავი ორმოა, რომელთა მოსწორება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს და მხოლოდ სურვილია საჭირო. ეჭვი გვაქვს, ესაა საბოტაჟი მერიის მხრიდან, რადგან ბიუჯეტის 1/12-ში, გათვალისწინებულია გზების შეკეთებისთვის საჭირო თანხა, თუმცა, შეკეთება კი არა, იმის პრევენციაც არ ხდება, მცირე დაზიანება უფრო დიდ პრობლემაში არ გადაიზარდოს. პარალელურად, „წყალკანალის“ მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაფენილი ასფალტის საფარი იმდენად უხარისხოა, ცენტრალურ მაგისტრალებზე ორმოები ხელოვნურად იქმნება. ფაქტობრივად, მერიის მხრიდან კონტროლია მოშლილი, ცდილობენ, ადამიანებში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გამოიწვიონ, რაც საბოტაჟის კლასიკური ნიმუშია. რატომ აგებენ გზებს წვიმასა და ყინვაში, ეს ხომ წყალში გადაყრილი ფულია? არ შეიძლება, ასეთ ხალხს ფინანსები ანდო, ამიტომაც მიდის საუბარი ბიუჯეტის დამტკიცება-არდამტკიცებაზე — ადამიანები, რომლებიც ხელოვნურად ქმნიან კრიზისს, უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან. მათთვის მთავარი თბილისელებზე ზრუნვა კი არა, სკამების შენარჩუნებაა. მერიაში ყველა — მერის მოვალეობის შემსრულებლიდან დაწყებული, რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, პოლიტიკურად აჟიტირებულია და მხოლოდ იმაზე მუშაობენ, ხელისუფლების მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულება შექმნან“.**

„ვერსია“ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილეს, **ლევან ჩალაძესაც** დაუკავშირდა, რომელმაც ჯაბა სამუშიას ბრალდებებს ამგვარად უპასუხა: **„საინტერესოა, რაზე დაყრდნობით ამბობს სამუშია, რომ მერია გზებს შეგნებულად არ აკეთებს. ბიუჯეტის იმ 1/12-ის ფარგლებში, თითქმის ყველგან, შემოერთებული სოფლებიდან დაწყებული, ცენტრალური უბნებით დამთავრებული, საბურთალოს, ვაკის რაიონში, პეკინის, ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე, ასევე ყაზბეგზე, სანაპიროზე, ლაგუნა ვერესთან... როგორც კაპიტალური, ასევე ორმოების შეკეთების სარემონტო სამუშაოები დაწყებული გვაქვს. მხოლოდ ნალექი გვიშლის ხელს და დღის განმავლობაში ვართ გაჩერებულები, რომ მოძრაობა არ შეფერხდეს. ვცდილობთ, ეტაპობრივად მოვიცვათ ყველა რაიონი. გამონაკლისი, ჯერჯერობით, მხოლოდ სამგორია, სადაც ახლა ფორმდება ხელშეკრულება. რატომაა განცდა, რომ მერია საბოტაჟს აწყობს, არ ვიცი. საგზაო სამუშაოების გარდა, ტენდერს ლაბორატორიულ მომსახურებაზეც ვაცხადებთ, რაც ნიშნავს, რომ ყველა სამუშაოს, რომელიც მიმდინარეობს მერიის დაკვეთით, ამოწმებს მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ლაბორატორიული ჯგუფი. არც ისაა სიმართლე, თითქოს მერიის დაკვეთით სადმე ასფალტი წვიმაში დაიგო. სად მოხდა ეს, იქნებ კონკრეტული ადგილი მიგვითითონ! რაც შეეხება ყინვას, მშენებლობის ნებისმიერ სახეობაში, საგზაო იქნება თუ, უბრალოდ, კარკასული, არსებობს სპეციალური ტიპის დანამატები. მაგ ლოგიკით, რუსეთსა და უკრაინაში, სადაც ყინვა 9 თვის განმავლობაშია, საგზაო სამუშაოები საერთოდ არ უნდა მიმდინარეობდეს. ზუსტად ამას გაუსვა ხაზი გამგებელმა. ტემპერატურა, ზოგადად, გასათვალისწინებელია, თორემ დანამატების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ყინვაშიცაა შესაძლებელი სამუშაოების განხორციელება“.**

მერაბიშვილს, ახალაიასა და მელნიკოვს გირგვლიანის საქმეზე ბრალი დაუზუსტდათ

ამის შესახებ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს განმარტება გავაკეთოთ ს. გირგვლიანის საქმეზე მიმდინარე პროცესუალურ მოქმედებებთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმეზე ბრალდებულებს — ი. მერაბიშვილს, დ. ახალაის და ო. მელნიკოვს, ბრალდებულად ყოფნის ვადიდან გამომდინარე დაუზუსტდათ ბრალდებები, საქმის ნაწილობრივ სასამართლოში გასაგზავნად. დ. ახალაიას და ო. მელნიკოვს საქმეზე ბრალი წარდგენილი აქვთ ორ დამოუკიდებელ ეპიზოდზე, ეს არის ს. გირგვლიანის და ვ. აბულაშვილის ეპიზოდები.

დათა ახალაიას ბრალი ედება ს. გირგვლიანის სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავისუფლების უკანონო აღკვეთის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისთვის, ასევე მოქალაქეების ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მათ მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე, 144 3-ე, 332-ე, 333-ე და 341-ე მუხლებით.

ივანე მერაბიშვილს ბრალი ედება ს. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი სიყალბისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 341-ე მუხლებით.

ოლეგ მელნიკოვს ბრალი ედება თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში (სანდრო გირგვლიანის, ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდები), დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 333-ე მუხლებით.

„პირველი“

საყვარელი ფერი ადამიანის ხასიათს ამხელს



ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ადამიანის ხასიათის ამოცნობის უამრავი მეთოდი არსებობს, ერთ-ერთი კი სწორედ პოროვნების საყვარელი ფერის მიხედვით შეცნობაა:

წითელი ფერი სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის მანიშნებელია. თუმცა მას მეორე მხარეც აქვს და აგრესიულობის, შურის, მტრობის სიმბოლოდაც მიიჩნევა. თუ ადამიანი უპირატესობას წითელ ფერს ანიჭებს, ის საკმაოდ თამამი, ნებისყოფიანი, ძალაუფლების მქონე, კონტაქტური ტიპია, ხოლო ვისაც წითელი აღიზიანებს, არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს და განმარტოება უყვარს.

თეთრი სისუფთავის, უმწიკვლობის სიმბოლოდ მიიჩნევა, თუმცა შეიძლება, საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელიც იყოს — თითქოს შთანთქავს, ანეიტრალებს სხვა ფერებს, საბოლოოდ კი, სიჩუმის, სიცარიელისა და სიკვდილის სიმბოლო ხდება. ამ ფერს შეიძლება ნებისმიერი ხასიათის ადამიანები ირჩევდნენ.

შავი ფერი, როგორც წესი, უბედურების, გლოვის, სიკვდილის ფერია. ის საკუთარ თავში დაურწმუნებლობის, ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულების სიმბოლოცაა. ადამიანები, რომლებიც უპირატესობას შავი ფერის ტანსაცმელს ანიჭებენ, ცხოვრებას მუქ ფერებში აღიქვამენ, მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მათი იდეალები ცხოვრებაში განუხორციელებელი დარჩება.

ყვითელი ფერის მოყვარულები საკმაოდ კონტაქტურები, ცნობისმოყვარეები, თამამები არიან და ადვილად მოიპოვებენ გარშემომყოფების კეთილგანწყობას.

თუკი საყვარელი ფერი ლურჯია, მაშინ საუბარია მოკრძალებულ, მელანქოლიურ პიროვნებაზე. ამ ფერს ვერ იტანენ ისინი, ვისაც სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა უყვარს, თუმცა, სინამდვილეში, საკუთარ თავშია ჩაკეტილი.

მწვანე ფერს უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვინც სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნას გაურბის და თვითდამკვიდრებას ცდილობს, რადგან ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ხოლო ვისაც მიზნის მიღწევა არ ძალუძს, ვერ იტანს მწვანე ფერს.

ნარინჯისფერი უფრო მეოცნებე და კარგი ინტუიციის მქონე ადამიანის ფერია, ვარდისფერს კი მეტად მგრძნობიარენი ანიჭებენ უპირატესობას — ისინი უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი ნერვიულობენ და ღიზიანდებიან. ვარდისფერი მიუღებელია პრაგმატული ადამიანებისთვის.

სტუდენტი კეტჩუპზე დამოკიდებული ვახდა

19 წლის ინგლისელ სტუდენტ გოგონას ქალაქ ლინკოლნიდან მეტად უცნაური ჩვევა აქვს — დღეში უამრავ კეტჩუპს მიირთმევს, ხოლო წლის განმავლობაში იმდენ ტომატს მოიხმარს, რამდენსაც მისი სხეული იწონის — 75 კილოგრამს. როგორც გოგონა აცხადებს, კეტჩუპი ყოველთვის უყვარდა, მაგრამ მასზე დამოკიდებული ოთხი წლის წინ გახდა. ახლა მას კვირის განმავლობაში სამი ბოთლი კეტჩუპი სჭირდება და წელიწადში დაახლოებით 500 დოლარს ხარჯავს. მელისას საყვარელი ბრენდი „ჰეინცია“. მისი ახლობლებიც „აფასებენ“ ამ პროდუქტისადმი გოგონას მისწრაფებას და შობასა და დაბადების დღეზე კეტჩუპ-თემატიკის საჩუქრებს უძღვნიან. მელისა შეშფოთებულია ამ უცნაური ახირებით და იცის, რომ რისკის ქვეშ აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას. წარმოდგენაც არ მინდა, ამდენი კეტჩუპით რა პროცესი მიდის ჩემს ორგანიზმში, — ამბობს იგი, თუმცა, კეტჩუპ-დამოკიდებულებას თავს მაინც ვერ აღწევს.

ყველაზე ძვირფასი ბლინი გამოაცხვეს

მანჩესტერელმა შეფ-მზარეულმა მეთიუ დაუნსმა მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი ბლინი მოამზადა — მისი ღირებულება 800 გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით, ათასი ევრო). მისი ნახელავი შამპანურ Dom Perignon-ის ბოკალთან ერთად უნდა მიირთვათ. კერძის შესაქმნელად ჩვეულებრივი ბლინების ცომი მზადება კვერცხის, ფქვილის, რძისა და მარილისგან. ბლინების გამოცხობის შემდეგ მათ ნაჭრებად ჭრიან და ულუფებად აწყობენ, რომლის შემადგენლობაში შედის ტრიუფელი, ხიზილალა, ომარი, ლანგუსტი და მიდია. ასეთ ბლინთან ერთად შემკვეთი სამი სახის სოუსსაც იღებს. როგორც შეფ-მზარეული აცხადებს, ბლინი მისი რესტორნის მენიუში არ არის, მაგრამ კლიენტის სურვილის შემთხვევაში, 20 წუთში ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ აქამდე ყველაზე ძვირიანი ბლინი 2009 წელს დაამზადეს ნისლიან ალბიონზე და 144 გირვანქა სტერლინგი ღირდა, კლიენტთან კი ორგანულ მარწყვსა და შამპანურის მურაბასთან ერთად მიჰქონდათ.

იაპონელები ტირილის სემინარებს აწარებენ

ცნობილია სიცილის თერაპიის შესახებ, მაგრამ ამ „მედლის მეორე მხარეც“ თუ არსებობდა, დღემდე არავინ იცოდა. ამომავალი მზის ქვეყანაში ადამიანები იკრიბებიან, რომ იყვირონ და იტირონ. ამგვარ სემინარებს ტაკაში სეგოი ატარებს, რომელიც თავს „ცრემლების სომელიეს“ უწოდებს. იგი წიგნებს, ფილმებსა და ვიდეომასალას იყენებს, ადამიანებში ემოციები რომ გაამძაფროს. იაპონიაში ტირილი პოპულარული არ არის — აქაურებს ურჩევნიათ, უცხოების წინაშე ემოციები არ გამოამჟღავნონ, რადგან სისუსტედ ჩაეთვლებათ, ამიტომ თვეში ორჯერ „რიუკაცუ-სემინარები“ ეწყობა, სადაც ადამიანები სიხარულისგან ყვირიან ან ტირიან, ნეგატიურ ემოციებზე საუბრობენ და ეს ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში, დაძაბული ურთიერთობების დალაგებაში ეხმარება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სიცილის ეფექტი მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება, ყვირილისა და ტირილისა კი — მთელი ერთი კვირა. აღმოჩნდა, რომ ტირილი გაცილებით სასარგებლოა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. როცა ადამიანი ტირის, ცრემლში ისეთივე ჰორმონები ჩნდება, რასაც სხეული გამოყოფს ფიზიკური დატვირთვის დროს, ამიტომ სემინარების ორგანიზატორის მთავარი ამოცანაა, არავინ წავიდეს მშრალი თვალებით. სემინარის მონაწილეები ამბობენ, რომ ძალიან კმაყოფილები არიან შედეგებით — ტირიან იქ, სახლში კი გადასარევ ხასიათზე ბრუნდებიან.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

მუსიკას ყურსასმენი შეგირჩევთ

განწყობის მიხედვით სასურველი მუსიკის შერჩევა ხშირად არც ისე ადვილია. ამ „პრობლემის“ მოგვარებაზე იზრუნეს იაპონელმა გამომგონებლებმა კომპანიიდან Neurowear — მათი მორიგი ქმნილება ტვინის დევაისია Mico Headphones, რომელიც ტვინის ნახევარსფეროების რიტმის გადამცემს იყენებს და ადამიანის განწყობას ადგენს, შემდგომ კი შესაბამის მელოდიასაც არჩევს. ყურსასმენებში ჩამონტაჟებულია ენეცეფალოგრაფი და ანალიზის მწარმოებელი სხვა მოწყობილობები, რომელიც ადამიანის იმწუთიერ მუსიკალურ სურვილს ამოიცნობს. სმარტფონთან დაკავშირებული ყურსასმენი კომპანიის მონაცემთა ბაზიდან ირჩევს მუსიკას მომხმარებლის ფსიქოემოციური მდგომარეობის მიხედვით. მოწყობილობის გვერდითა პანელები კი განათებისა და სიმბოლოების მიხედვით, იმის დემონსტრირებას ახდენს, მოსწონს ადამიანს შერჩეული მუსიკა თუ მის მიმართ გულგრილია.

სუდოკუ

ადვილი

	3				4			
				2		4		5
7	4		6					8
		7					3	
			5		3			
	8					6		
4					5		8	3
3		9		7				
			1				6	

სტანდარტი

9				8				4
					4		9	
		4	3	2				6
						7	2	5
8								3
7	1	6						
6				7	1	3		
	5		9					
2				6				7

რთული

9		1			4			
		6			1			
	4					1	3	
	7	4		5				8
8				7				1
5				4		7	2	
	5	2					8	
			6			2		
			3			4		6

ექსპერტი

		5	2					
6				1		4	2	
7	3	2		6		5		
			9			3		
	2			3			9	
		6			4			
		7		9		2	5	4
	6	4		5				1
					2	6		

პესტიციდები — დიაბეტის წყარო

მსოფლიოში დიაბეტით დაავადების მკვეთრი ზრდა, შესაძლოა, პესტიციდებითა და სხვა მავნე ქიმიკატებით გარემოს დაბინძურების შედეგი იყოს, — ეს ჰიპოთეზა სამხრეთკორეელ მეცნიერებს ეკუთვნის. მეორე ტიპის დიაბეტის რისკის მთავარ ფაქტორად სიმსუქნეს მიიჩნევენ, თუმცა, ახალი მონაცემები მიუთითებს, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ე. წ. გარემოს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (მოდ) — ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება პესტიციდების, ტექნიკური ემულსიების, საღებავებისა და სხვათა წარმოებაში. დღეისთვის მოდ-ის წარმოება აკრძალულია, თუმცა მათ დიდი რაოდენობით შეიცავს გარემო და შედეგად ისინი ხვდება საკვებში.

ძუძუმწოვრების ორგანიზმში მოდ-ი, როგორც წესი, ცხიმოვან ქსოვილებში გროვდება. შარშან სამხრეთ კორეის დეგუს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების რისკი პირდაპირპროპორციულია ადამიანის ორგანიზმში ყველაზე გავრცელებული მოდ-ის კონცენტრაციისა. ახალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სხეულის ზედმეტ წონას ინსულინრეზისტენტულობის განვითარებამდე იმ შემთხვევაში მივყავართ, თუ ამ გადახრას სისხლში პესტიციდებისა და პოლიქლორბიფენილების დონის მატება ახლავს. გამოკვლევების შედეგები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ დიაბეტის განვითარების მთავარი ფაქტორი, უშუალოდ, ცხიმოვანი ქსოვილების სიჭარბე კი არა, მასში არსებული მავნე ქიმიური ნაერთებია.

როგორ ვითარდება მოდ-ის მიზეზით დიაბეტი, ეს საკითხი, ჯერჯერობით, შეუსწავლელია, თუმცა კორეელ მეცნიერებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ამ მხრივ კავშირი არსებობს. ამაზე ამერიკელი მფრინავების მაგალითი მიუთითებს, რომლებიც ვიეტნამის ომის დროს ჯუნგლებში პესტიციდებს შლიდნენ — მათ უმრავლესობას მეორე ტიპის დიაბეტი სჭირს; ასეთივე პრობლემები აქვთ მათაც, ვინც მოდ-ით დაბინძურებულ რაიონში ცხოვრობს.

გენების გათიშვა მკერდის კიბოს ბლოკავს



ამერიკელმა მეცნიერებმა იმ გენების გამოვლენა შეძლეს, რომლებიც სარძევე ჯირკვლის სიმსივნური წარმონაქმნის ზრდასა და გავრცელებაზეა პასუხისმგებელი. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, სხვადასხვა პრეპარატის კომბინაციით, რომელიც სიმსივნის სამკურნალოდ გამოიყენება, სპეციალისტებმა მეტასტაზების გავრცელება შეაჩერეს. ნიუ-იორკის კიბოს მკურნალობის მემორიალური ცენტრის სპეციალისტებმა ყურადღება ოთხ გენზე — EREG, MMP1, MMP2, COX2 — გაამახვილეს. მეცნიერთა თქმით, სწორედ ეს გენებია პასუხისმგებელი ავთვისებიანი უჯრედების გავრცელებაზე.

თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას ცხოველებს ადამიანის სარძევე ჯირკვლის დაავადებული უჯრედები შეუყვანეს, მანამდე კი ზემოხსენებული გენების აქტიურობა სხვადასხვა პრეპარატის კომბინაციით ჩაახშეს — გენების გათიშვამ ძირითადი სიმსივნური წარმონაქმნის ზრდა შეანელა და, პრაქტიკულად, სრულად შეაჩერა მეტასტაზების გავრცელება მღრღნელების ორგანიზმში.

ნინა ნოემერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	3	9	6	5	8	7	4	2
5	8	7	4	3	2	9	6	1
6	4	2	9	1	7	8	3	5
4	2	1	8	7	6	5	9	3
9	7	8	5	4	3	2	1	6
3	6	5	2	9	1	4	8	7
2	1	6	7	8	9	3	5	4
7	9	4	3	6	5	1	2	8
8	5	3	1	2	4	6	7	9

სტანდარტი

1	9	8	7	6	5	4	3	2
7	2	3	4	1	9	5	8	6
6	5	4	3	8	2	1	9	7
5	8	2	6	4	3	9	7	1
9	4	7	5	2	1	8	6	3
3	1	6	9	7	8	2	5	4
8	7	1	2	5	6	3	4	9
4	3	5	1	9	7	6	2	8
2	6	9	8	3	4	7	1	5

რთული

9	2	4	1	5	6	8	7	3
5	3	8	9	4	7	6	2	1
1	7	6	3	2	8	5	4	9
8	6	7	5	1	9	4	3	2
4	5	1	8	3	2	9	6	7
3	9	2	7	6	4	1	8	5
7	4	3	6	9	5	2	1	8
6	1	9	2	8	3	7	5	4
2	8	5	4	7	1	3	9	6

ექსპერტი

8	1	7	6	5	9	4	3	2
5	4	6	3	2	1	9	8	7
3	2	9	8	4	7	1	5	6
2	9	5	7	1	8	6	4	3
1	3	4	5	9	6	2	7	8
7	6	8	4	3	2	5	1	9
9	5	3	2	7	4	8	6	1
6	7	2	1	8	5	3	9	4
4	8	1	9	6	3	7	2	5

მე-12 გვერდი: 1. სარაფანი; 2. ამპერი; 3. ამნეზია; 4. აგნი; 5. პრემიერა; 6. რუსოფილია; 7. „მანანა“; 8. ელექსირი; 9. სპინინგი; 10. ისლანდია; 11. იქნემონი; 12. არიერგარდი; 13. ქსენიები; 14. ინა; 15. ქრონოლოგია; 16. „იმედი“; 17. ადმა; 18. მითი; 19. ჟიგა; 20. ბრიზი; 21. სფინქსი; 22. ხაბარდა; 23. ლანდი; 24. არაქისი; 25. კალევალა; 26. ორე; 27. ამირანი; 28. ემე; 29. ჩოსონ; 30. ერი; 31. ლარი; 32. ავოკადო; 33. ცერერა; 34. ტრიუკი; 35. ხმა; 36. მარჩელო; 37. ავე; 38. ოპტაცია; 39. ოდინი; 40. გორაკი; 41. ე; 42. რელე; 43. ეგერი; 44. ბადრო; 45. ინრო; 46. ნიუ; 47. არისა; 48. რეა; 49. იდო; 50. პერუ; 51. რეპი; 52. ჩოგორი; 53. რქა; 54. მო; 55. ინდი; 56. პერი; 57. იკაო; 58. იურმალა; 59. ია; 60. ურო; 61. ზრო; 62. კვირტი; 63. გირჩა.

იოგურტი დიაბეტის წინააღმდეგ

იოგურტის ყოველდღიური მოხმარება მეორე ტიპის დიაბეტის რისკს თითქმის 28%-ით ამცირებს, — ამის თაობაზე კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა განაცხადეს. ისინი ვარაუდობენ, რომ მსგავსი ეფექტის მიღება შეიძლება ასევე სხვა უცხიმო რძემჟავა პროდუქტის მოხმარებისას. 11-წლიანი კვლევის დროს სწავლულები 4225 მოხალისის რაციონს აკვირდებოდნენ, რომელთაგან 753-ს უკვე ჰქონდა მეორე ტიპის დიაბეტი. აღმოჩნდა, რომ მოხალისეებს, რომლებიც აქტიურად მიირთმევდნენ რძემჟავა პროდუქტს, 24%-ით ნაკლები რისკი ჰქონდათ, გამხდარიყვნენ დიაბეტის მსხვერპლნი იმათთან შედარებით, ვინც ხაჭოს, იოგურტის ან ყველის მიმართ გულგრილი იყო. საუბარია კვირაში 4-5 სტანდარტული ულუფის მირთმევაზე. მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ დაამტკიცეს კავშირი იოგურტსა და დიაბეტს შორის, თუმცა არ გამორიცხავენ, ასეთი ეფექტი შესაძლოა იმას უკავშირდებოდეს, რომ იოგურტის მოყვარულების უმრავლესობა ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს.

სიმსივნით დაავადებულებს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებენ

ახალმა პრეპარატმა, რომელსაც შეუძლია კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მქონე ავადმყოფებს სიცოცხლე ორჯერ გაუხანგრძლივოს, დიდ ბრიტანეთში ლიცენზია მიიღო და მისი შეძენა მხოლოდ რეცეპტით შეიძლება. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს პრეპარატი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ბოლო ათი წლის განმავლობაში სასიკვდილო სენთან ბრძოლაში. ზოგიერთი მონაცემით, ყოველწლიურად, სიმსივნის ამ ფორმით დაავადებული 8500 ადამიანიდან 8% კვდება. ახალი პრეპარატის, Abraxane-ის კლინიკურმა ცდებმა, რომელიც შარშან მიმდინარეობდა, აჩვენა, რომ მას შეუძლია, პაციენტს სიცოცხლე 6-დან 8-9 თვემდე გაუხანგრძლივოს. პრეპარატი მოიწონეს და მისი შეძენა ევროპელებს უკვე შეეძლებათ, აშშ-ში კი შემოდგომით გამოჩნდება.

1. ძველბერძენი მათემატიკოსი
2. მძიმე ფსიქიური აშლილობა, თვითიზოლაციის უკიდურესი ფორმა
3. ძველი ბერძენი მოქანდაკე
4.ხევისთავის სახელი „ჯაყოს ხიზნებში“
5. დიდი ესპანელი ფერმწერი
6. ხასხასა ლურჯი საღებავი
7. ძველრომაელთა უზენაესი ღმერთი
8. იგივეა, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობა
9. იგივეა, რაც შვილიშვილი
10. ნახევრად ძვირფასი ქვა
11. რძიანი ყავა
12. გამჭვირვალე ძვირფასი ქვა
13. მუხის ნაყოფი
14. იაპონელთა ტრადიციული ალკოჰოლური სასმელი
15. განათებულობის საზომი ერთეული
16. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
17. კლოუნის ნომერი ცირკში
18. ქალაქი ესტონეთში
19.მერილინ მონროს ნამდვილი სახელი
20. სილვესტერ სტალონეს შინაურული სახელი
21. პალეოგენის შუა პერიოდი
22. გადამდნარი კარაქი
23. იაპონელი მწერალი ... კობო
24. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი
25. რეკორდმენი ... ცაავა „რეკორდში“
26. ცნობილი საიუველირო ფირმა
27.სირიისა და ლიბანის ისტორიული სახელწოდება
28. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
29. ამერიკული ნიანგი
30. სურნელოვანი მწვანილი
31. ოსკარი 2014-ის მფლობელი
32.„გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი
33. ფრანგული კონიაკის ფირმა
34. სატრფიალო პოეზიის მუზა
35. სასტუმროს მსახური ბიჭი
36.მსახიობი ... ბრანდო
37. ახლომხედველი
38.მცირე ზომის საფორტეპიანო პიესა
39.ქალაქი სამხრეთ პორტუგალიაში
40. თევზის ძვალი
41. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
42. იგივეა, რაც სურვილი
43. ვიბრაციის ქართული შესატყვისი
44. ოთახის დეკორატიული მცენარე
45.წყვილჩლიქ. ცხოვ. ძროხისებრთა ოჯახიდან
46. საახალწლო ხე
47.რომეოს და ჯულიეტას ქალაქი
48. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
49.ტროპიკული ვაშლი
50.მდინარე ქუთაისში
51.„შევროლეს“ მოდელი
52.ჩასაბერი საკრავი
53. ქართული ფილმი „ჩვენი ...“
54. სინთეტური ბოჭკო
55. პაბლო პიკასოს ცნობილი ნახატი
56. ღამის ფიზიოლოგიური მდგომარეობა
57. ჭიდაობის ილეთი
58. იტალ. მწერალი უმბერტო ...
59. დიდროს სახელი
60. ნიკარაგუას დედაქალაქი
61.ფიფას ექსპრეზიდენტი
62. ყანის მაგნებელი მწერი
63.აბრეშუმის მკვრი-ვი მბზინა-ვი ქსოვილი
64.მაწანწალა ბიჭი პიუგოს „საბრალონში“
65. სახალხო მომღერალი უკრაინაში
66.ატომგულის დადებითად დამუხტული ნაწილაკი
67. დედისადმი მიმართვა გურიაში
68. წარსულში ცნობილი ფრანგი მომღერალი ქალი მირეი ...
69.მამათა მონასტერი
70.გლუვზედაპირიანი ქვა
71. მსხლის ჯიში
72. შავწითელი ფერი
73. ბაბუა
74.ორსული საქონელი
75.საფრანგ. ექსპრეზიდენტი ... დე გოული
76. ბომბეის ახლანდელი სახელწოდება
77.ჯამბაზი ... ჰოპი „სალამურას თავგადასავალში“
78. სამგზავრო ფუტლარი ტუალეტისათვის საჭირო ნივთების მოსათავსებლად
79. სასახლე ძველ ქართულში
80. (ძვ.) თხელი გამჭვირვალე ქსოვილი
81.დამხმარე თეორემა მათემატიკაში
82.პატარა გამოქვაბული კლდეში
83. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
84.კონდოლის პერსონაჟი ...ჰოლმსი

კაკაო კიბოს წინააღმდეგ

ეს გემრიელი სასმელი ორგანიზმს სიმსივნისა და ბევრი სხვა დაავადებისგან იცავს, რომელიც საშიშია სიცოცხლისთვის, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას. კაკაოში არსებული ანტიქოსიდანტების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება წითელ ღვინოში არსებულს. მიუხედავად იმისა, რომ კაკაოს ბევრი პროდუქტი შეიცავს, მაგალითად შოკოლადი, უმჯობესია, ამ ტკბილეულის ნაცვლად, ერთი ფინჯანი სასმელი მიირთვათ. თანაც, შოკოლადში დიდი რაოდენობითაა ნაჯერი ცხიმები. თუ კაკაოს ფხვნილისგან მომზადებულ გემრიელ სასმელს ყოველდღე მიირთმევთ, ამით შეამცირებთ ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს და სისხლში ანტიოქსიდანტების შემცველობაც მოიმატებს. ფაქტია, რომ ის ადამიანები, ვინც კაკაოს ჩაისა და ყავაზე ხშირად მიირთმევენ, ნაკლებად ავადდებიან კიბოთი და ეს ბოლო კვლევების შედეგებმაც აჩვენა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.